

**შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია  
„რიკო ექსპრესი“**

**ფინანსური ანგარიშგება**

*2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

## შინაარსი

### დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება .....	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	8

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა .....	9
2. მომზადების საფუძველი .....	9
3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა .....	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	24
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	26
6. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები .....	26
7. კლიენტებზე გაცემული სესხები .....	26
8. ძირითადი საშუალებები .....	30
9. საშემოსავლო გადასახადი.....	31
10. სხვა აქტივები.....	32
11. გამოშვებული მარტივი თამასუქები .....	33
12. ნასესხები სახსრები .....	33
13. სხვა ვალდებულებები.....	33
14. კაპიტალი.....	33
15. პირობითი ვალდებულებები .....	34
16. სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები .....	35
17. რისკის მართვა.....	35
18. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი .....	46
19. სამართლიანი ღირებულების შეფასება.....	47
20. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები.....	50
21. კაპიტალის ადეკვატურობა .....	51
22. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან და სხვა არაფულადი მოძრაობებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში.....	52

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის – შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია  
„რიკო ექსპრესის“ პარტნიორს და სამეთვალყურეო საბჭოს

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

### მოსაზრება

ჩავატარეთ კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის – შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია  
„რიკო ექსპრესის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც  
შედეგა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,  
ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან,  
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და  
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი  
სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის  
გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის  
31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი  
სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების  
საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

### მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად.  
პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს,  
დაწერილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის  
პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან  
დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს  
„პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და  
შესრულებული გვაქვს „IESBA“ კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური  
ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები  
საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის  
შესაქმნელად.

### კომპანიის 2018 წლის წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2018 წლის წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას,  
გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა  
ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.



**Building a better  
working world**

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არც ახლა და არც მომავალში გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ ჩვენს ანგარიშში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებული ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

### ***ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე***

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, შესწევს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

### ***აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე***

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.



**Building a better  
working world**

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად, სამეთვალყურეო საბჭოს ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის აუდიტის პროცესში გამოვლენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.



**Building a better  
working world**

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით მომზადებული ჩვენი მოსაზრება მოიცავს შემდეგს:

- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

2019 წლის 2 ოქტომბერი

თბილისი, საქართველო

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის – შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია  
„რიკო ექსპრესის“ პარტნიორს და სამეთვალყურეო საბჭოს

### ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

#### მოსაზრება

ჩავატარეთ კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის – შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია  
„რიკო ექსპრესის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც  
შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,  
ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან,  
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და  
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი  
სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის  
გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის  
31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი  
სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების  
საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

#### მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად.  
პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს,  
დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის  
პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან  
დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს  
„პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და  
შესრულებული გვაქვს „IESBA“ კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური  
ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები  
საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის  
შესაქმნელად.

#### კომპანიის 2018 წლის წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2018 წლის წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას,  
გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა  
ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არც ახლა და არც მომავალში გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ ჩვენს ანგარიშში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებული ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

### ***ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე***

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, შესწევს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

### ***აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე***

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.



ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვაღიარებთ ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად, სამეთვალყურეო საბჭოს ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის აუდიტის პროცესში გამოვლენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში**

აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით მომზადებული ჩვენი მოსაზრება მოიცავს შემდეგს:

- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

2019 წლის 2 ოქტომბერი

თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

შენიშვნები	2018	2017 (გადაანგარიშებული*)	2017 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)
<b>აქტივები</b>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	50,475	74,969
წარმოებული ფინანსური აქტივები	6	242	585
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	7	215,491	201,354
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი		647	715
ძირითადი საშუალებები	8	11,807	11,020
არამატერიალური აქტივები		43	66
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	9	172	782
სხვა აქტივები	10	19,020	13,454
<b>სულ აქტივები</b>		<b>297,897</b>	<b>322,405</b>
<b>ვალდებულებები</b>			
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	6	226	701
გამოშვებული მარტივი თამასუქები	11	111,305	134,156
ნასესხები სახსრები	12	34,860	45,652
სხვა ვალდებულებები	13	2,110	1,459
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>148,501</b>	<b>222,282</b>
<b>კაპიტალი</b>	14		
საწესდებო კაპიტალი		1,084	836
გაუნაწილებელი მოგება		148,312	120,141
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>149,396</b>	<b>100,123</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>297,897</b>	<b>322,405</b>

\* გარკვეული თანხები არ შეესაბამება 2018 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რადგან ისინი ასახავს მე-3 შენიშვნაში აღწერილ სადრიცხო პოლიტიკაში შესული ცვლილების მიხედვით ასახულ კორექტირებებს.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად 2019 წლის 2 ოქტომბერს.

თამარ გოგოძე

დირექტორი

გულიდა საჯაია



უფროსი ბუღალტერი

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

**2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2018	2017 (გადაანგარიშებული*)	2017 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)
<b>აქტივები</b>				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	50,475	74,969	72,851
წარმოებული ფინანსური აქტივები	6	242	585	-
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	7	215,491	201,354	228,995
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი		647	715	2,063
ძირითადი საშუალებები	8	11,807	11,020	11,427
არამატერიალური აქტივები		43	66	88
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	9	172	782	1,119
სხვა აქტივები	10	19,020	13,454	5,862
<b>სულ აქტივები</b>		<b>297,897</b>	<b>302,945</b>	<b>322,405</b>
<b>ვალდებულებები</b>				
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	6	226	701	-
გამოშვებული მარტივი თამასუქები	11	111,305	134,156	187,232
ნასესხები სახსრები	12	34,860	45,652	34,609
სხვა ვალდებულებები	13	2,110	1,459	441
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>148,501</b>	<b>181,968</b>	<b>222,282</b>
<b>კაპიტალი</b>				
საწესდებო კაპიტალი	14	1,084	836	836
გაუნაწილებელი მოგება		148,312	120,141	99,287
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>149,396</b>	<b>120,977</b>	<b>100,123</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>297,897</b>	<b>302,945</b>	<b>322,405</b>

\* გარკვეული თანხები არ შეესაბამება 2018 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რადგან ისინი ასახავს მე-3 შენიშვნაში აღწერილ სააღრიცხვო პოლიტიკაში შესული ცვლილების მიხედვით ასახულ კორექტირებებს.

**ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად 2019 წლის 2 ოქტომბერს.**

თამარ გოგოძე

დირექტორი

გულიდა საჯაია

უფროსი ბუღალტერი

**სრული შემოსავლის ანგარიშგება**

**2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის**

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2018	2017 (გადაანგარიშებული*)
<b>ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით განგარიშებული საპროცენტო შემოსავალი მომხმარებლებზე გაცემული სესხები ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები</b>		51,530 2,069 <b>53,599</b>	51,627 4,394 <b>56,021</b>
<b>საპროცენტო ხარჯი</b>			
მარტივი თამასუქები		(6,171)	(10,039)
ნასესხები სახსრები		(5,318)	(5,110)
		<b>(12,307)</b>	<b>(15,149)</b>
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>41,292</b>	<b>40,872</b>
საკრედიტო ზარალის / (სესხის გაუფასურების რეზერვის) შემობრუნება	7	424	(1,748)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო ზარალის ხარჯის გაწევის შემდეგ</b>		<b>41,716</b>	<b>39,124</b>
საკომისიო შემოსავალი ფულადი გზავნილებიდან საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა/(ზარალი):		3,917	3,347
- სავალუტო ოპერაციები		6,555	5,906
- საკურსო სხვაობები		(2,254)	(662)
ვალუტაში გამოსახული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები სხვა შემოსავალი		(3,755)	(3,345)
		329	230
<b>არასაპროცენტო შემოსავალი</b>		<b>4,792</b>	<b>5,476</b>
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი		(7,954)	(6,950)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,223)	(1,173)
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(3,387)	(2,626)
<b>არასაპროცენტო ხარჯი</b>		<b>(12,564)</b>	<b>(10,749)</b>
<b>მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გაწევამდე</b>		<b>33,944</b>	<b>33,851</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(5,358)	(4,785)
<b>წლის მოგება</b>		<b>28,586</b>	<b>29,066</b>
სხვა სრული შემოსავალი		-	-
<b>წლის მთლიანი სრული შემოსავალი</b>		<b>28,586</b>	<b>29,066</b>

\* გარკვეული თანხები არ შეესაბამება 2018 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რადგან ისინი ასახავს მე-3 შენიშვნაში აღწერილ სააღრიცხვო პოლიტიკაში შესული ცვლილების მიხედვით ასახულ კორექტირებებს.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ
2016 წლის 31 დეკემბერი	836	98,990	3,419	103,245
ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში (მე-3 შენიშვნა)	-	297	(3,419)	(3,122)
2017 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)	836	99,287	-	100,123
წლის მოგება (გადაანგარიშებული) (მე-3 შენიშვნა)	-	29,066	-	29,066
წლის სრული შემოსავალი (გადაანგარიშებული)	-	29,066	-	29,066
გამოცხადებული დივიდენდები (მე-14 შენიშვნა)	-	(8,212)	-	(8,212)
2017 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	836	120,141	-	120,977
ფასს (IFRS) 9-ის მიღება (მე-3 შენიშვნა)	-	-	-	-
2018 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)	836	120,141	-	120,977
წლის მოგება	-	28,586	-	28,586
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	28,586	-	28,586
საწესდებო კაპიტალის გაზრდა (მე-14 შენიშვნა)	248	-	-	248
გამოცხადებული დივიდენდები (მე-14 შენიშვნა)	-	(415)	-	(415)
2018 წლის 31 დეკემბერი	1,084	148,312	-	149,396

**ფულადი ნაკადების ანგარიშგება**

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>			
მიღებული პროცენტი		52,565	54,944
გადახდილი პროცენტი		(12,704)	(15,297)
შემოსულობა დასაკუთრებული უზრუნველყოფის გაყიდვიდან		7,978	7,472
შემოსულობა უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ვაჭრობის ოპერაციებიდან და უცხოური ვალუტის წარმოებული ინსტრუმენტებიდან		2,668	2,677
ფულადი გზავნილებიდან მიღებული საკომისიო შემოსავალი		3,917	3,347
სხვა მიღებული შემოსავალი		329	230
გადახდილი ხელფასები და თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები		(8,125)	(6,920)
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები		(3,591)	(2,473)
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</b>		<b>43,037</b>	<b>43,775</b>
<b>ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში</b>			
მომხმარებლებზე გაცემული სესხები		(25,618)	10,438
სხვა აქტივები		567	(3,635)
სხვა ვალდებულებები		1,026	1,040
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე</b>		<b>19,012</b>	<b>51,618</b>
გადახდილი მოგების გადასახადი		(4,680)	(3,100)
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>14,333</b>	<b>48,518</b>
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები</b>			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(2,052)	(744)
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>(2,052)</b>	<b>(744)</b>
<b>ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები</b>			
საწესდებო კაპიტალის გამოშვებიდან მიღებული შემოსავალი	14	248	-
ნასესხები სახსრებიდან შემოსული თანხები	22	16,826	37,587
ნასესხები სახსრების დაფარვა	22	(27,336)	(26,621)
გადახდილი მარტივი თამასუქები, წმინდა	22	(25,801)	(48,323)
გადახდილი დივიდენდები	14	(416)	(8,212)
<b>ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>(36,479)</b>	<b>(45,569)</b>
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(295)	(87)
<b>ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება) ზრდა</b>		<b>(24,494)</b>	<b>2,118</b>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	5	74,969	72,851
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლო</b>	5	<b>50,475</b>	<b>74,969</b>

9-52 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში)

## 1. ძირითადი საქმიანობა

კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესი“ (შემდგომში „კომპანია“, რეგისტრაციის ნომერი: 405270754) 2004 წლის 1 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით.

2007 წლის 11 აპრილს კომპანია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ („სებ“) დარეგისტრირდა, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რეგისტრაციის ნომრით #80407. 2013 წლის 26 ივნისს კომპანიას სებ-ისგან მიენიჭა კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის სტატუსი.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ჭავჭავაძის გამზირი #70, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა უძრავ-მოძრავი ქონებით (ძირითადად, ძვირფასი ლითონებით და უძრავი ქონების ობიექტებით) უზრუნველყოფილი მცირე და საშუალო ზომის სესხების გაცემა ფიზიკურ პირებზე, ასევე სავალუტო ოპერაციების განხორციელება და ფულადი გზავნილები.

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ერთპიროვნული მფლობელი ქალბატონი დალი ურუშაძე იყო.

## 2. მომზადების საფუძველი

### ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების აღრიცხვის წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით არის შეფასებული.

კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა ლარი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში თუკი სხვაგვარად არ არის მითითებული.

### ფინანსური ანგარიშგების ცვლილება გამოშვების შემდეგ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების შემდეგ ნებისმიერი ცვლილება საჭიროებს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებას. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.



(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

#### ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

2018 წელს კომპანიამ შეცვალა თავისი სააღრიცხვო პოლიტიკა მიწასა და შენობა-ნაგებობებთან მიმართებით. კომპანია ამჟამად იყენებს თვითღირებულების მოდელს, რომლითაც აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურება. პოლიტიკაში ამ ცვლილების შესვლამდე, კომპანია იყენებდა გადაფასების მოდელს, რომლის მიხედვითაც მიწა და შენობები აღირიცხებოდა სამართლიანი ღირებულებით გადაფასების თარიღისთვის და აკლდებოდა შემდგომში დაგროვილი ცვეთა და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების ზარალი. კომპანიის აზრით, თვითღირებულების მოდელი ინფორმაციას უფრო საიმედოდ და ამომწურავად აწვდის მომხმარებლებს, რადგან ის ზრდის შედარებადობას, ვინაიდან თვითღირებულების მოდელის გამოყენება მიკროსაფინანსო ინდუსტრიაში გავრცელებული საბაზრო პრაქტიკაა. სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა რეტროსპექტულად არის ასახული. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას შედარებად ფინანსურ ინფორმაციაზე შემდეგი ეფექტი ჰქონდა:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
ძირითადი საშუალებები	(3,053)	(3,122)
<b>სულ აქტივები</b>	<b>(3,053)</b>	<b>(3,122)</b>
სხვა რეზერვები	(3,282)	(3,419)
გაუნაწილებელი მოგება	229	297
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>(3,053)</b>	<b>(3,122)</b>

სრული შემოსავლის ანგარიშგება	2017
ცვეთა და ამორტიზაცია	229
<b>წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი</b>	<b>229</b>

კომპანიამ პირველად გამოიყენა სტანდარტში შესული გარკვეული ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ თითოეული ცვლილების ხასიათსა და გავლენას:

#### ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

ფასს (IFRS) 9 ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ 2018 წლის 1 იანვარს ან შემდგომი ყოველწლიური პერიოდებისთვის. კომპანიას არ გადაუანგარიშებია 2017 წლის შედარებადი ინფორმაცია ფასს (IFRS) 9-ის მოქმედების არეალში მოქცეული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის. ამიტომ 2017 წლის შედარებადი ინფორმაცია გაცხადებულია ბასს (IAS) 39-ის შესაბამისად და არ ედრება 2018 წლისთვის წარმოდგენილ ინფორმაციას. ფასს (IFRS) 9-ის მიღების შედეგად წარმოშობილი სხვაობები პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაშია აღიარებული 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და მოცემულია ქვემოთ.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

##### (ა) კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს (IFRS) 9-ის მიხედვით, ყველა სავალო ფასიანი ქაღალდი, რომელიც არ აკმაყოფილებს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის“ კრიტერიუმს, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში. ამ კრიტერიუმის თანახმად, სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც არ შეესაბამება „დაკრედიტების ძირითად სქემას“, მაგალითად, ინსტრუმენტები, რომლებიც შეიცავს კონვერტაციის ჩართულ ოფციონს ან „რეგრესის უფლების არმქონე სესხები“, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. სავალო ფინანსური აქტივების შემთხვევაში, რომლებიც აკმაყოფილებს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების კრიტერიუმს, თავდაპირველი აღიარებისას მათი კლასიფიკაცია განისაზღვრება იმ ბიზნესმოდელის საფუძველზე, რომლითაც იმართება ეს ინსტრუმენტები:

- ▶ ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით;
- ▶ ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით“, ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში;
- ▶ ინსტრუმენტები, რომლებიც იმართება სხვა საფუძველზე, მათ შორის სავაჭრო ფინანსური აქტივები, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

წილობრივი ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირებული უნდა იქნეს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ხდება ინსტრუმენტების შეუქცევადი კლასიფიცირება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში. სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით კლასიფიცირებული კაპიტალის ინვესტიციების შემთხვევაში, ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი, გარდა დივიდენდის სახით შემოსვლისა, აღიარებული უნდა იქნეს სხვა სრულ შემოსავალში, მოგებაში ან ზარალში შემდგომი გადატანის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება მეტწილად უცვლელი რჩება და არ განსხვავდება არსებული ბასს (IAS) 39-ის მოთხოვნებისგან. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები კვლავაც შეფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები აღარ არის გამიჯნული დაკავშირებული ფინანსური აქტივისგან.

##### (ბ) გაუფასურება

ფასს (IFRS) 9-ის მიღებამ საფუძვლიანად შეცვალა კომპანიის მიერ სესხის გაუფასურების აღრიცხვა, რადგან ბასს (IAS) 39-ის განცდილი ზარალის მიდგომა ჩაანაცვლა მომავალზე ორიენტირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომით. 2018 წლის 1 იანვრიდან ყველა სესხსა და სხვა სავალო ფინანსურ აქტივებზე (რომლებიც არ არის აღრიცხული სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების რეზერვს კომპანია აღრიცხავს სასესხო ვალდებულებებთან და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებთან ერთად. ფასს (IFRS) 9-ის მიხედვით, წილობრივი ინსტრუმენტები არ ექვემდებარება გაუფასურებას.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

რეზერვი ეყრდნობა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც უკავშირდება მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას, თუ სესხის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზარდილა. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივის განმარტებას, მაშინ რეზერვი დაეყრდნობა აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებას. გაუფასურების დარიცხვის კომპანიისეული მეთოდის შესახებ ინფორმაცია განხილულია მე-17 შენიშვნაში. ფასს (IFRS) 9-ის გამოყენების რაოდენობრივი გავლენა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით განხილულია (გ) პუნქტში ქვემოთ.

#### (გ) ფასს (IFRS) 9-ზე გადასვლის ეფექტი

ქვედა ცხრილში წარმოდგენილია ფასს (IFRS) 9-ის მიღების გავლენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და გაუნაწილებელ მოგებაზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მათ შორის ბასს (IAS) 39-ის მიხედვით გაწეული საკრედიტო ზარალის გაანგარიშების ფასს (IFRS) 9-ის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით ჩანაცვლების ეფექტი.

ბასს (IAS) 39-ის მიხედვით საბალანსო ღირებულებების და ფასს (IFRS) 9-ის მიხედვით გაცხადებული ნაშთების 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეჯერების შედეგი ასეთია:

	ბასს (IAS) 39-ის მიხედვით შეფასება		ფასს (IFRS) 9	
	კატეგორია	თანხა	თანხა	კატეგორია
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	L&R <sup>1</sup>	74,969	74,969	ამორტიზებული ღირებულება
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	L&R	201,354	201,354	ამორტიზებული ღირებულება
წარმოებული ფინანსური აქტივები	FVPL	585	585	FVPL (სავალდებულო)
სხვა აქტივები		26,037	26,037	
<b>სულ აქტივები</b>		<b>302,945</b>	<b>302,945</b>	
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	FVPL	701	701	FVPL
ყველა სხვა ვალდებულება		181,267	181,267	
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>181,968</b>	<b>181,968</b>	

<sup>1</sup> სესხები და დებიტორული დავალიანებები; სესხები და დებიტორული დავალიანებები.

ფასს (IFRS) 9-ზე გადასვლას მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე, შემოსავლებსა და გაუნაწილებელ მოგებაზე. თუმცა ფასს (IFRS) 9-ის გაუფასურების მთხოვნებს გავლენა ჰქონდა ინდივიდუალური ინსტრუმენტების შეფასებაზე კომპანიის კლიენტებზე გაცემული სესხების პორტფელში.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შედარებული მთლიანი საწყისი სასესხო ზარალის რეზერვი ბასს (IAS) 39-ის მიხედვით და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში.

	სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვი / ბასს (IAS) 39-ის მიხედვით შეწნილი ანარიცხები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	ხელახალი შეფასება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასს (IFRS) 9-ის საფუძველზე 2018 წლის 1 იანვარს
გაუფასურების რეზერვი შემდეგისთვის მომხმარებლებზე გაცემული სესხები – ლომბარდი	1,083	(984)	99
მომხმარებლებზე გაცემული სესხები – იპოთეკა	1,530	984	2,514
	<b>2,613</b>	<b>-</b>	<b>2,613</b>

ფასს (IFRS) 15 „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“

2014 წლის მაისში გამოცემული და 2016 წლის აპრილში შეცვლილი ფასს (IFRS) 15 და განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს (IFRS) 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. თუმცა, სტანდარტი არ ეხება ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ შემოსავალს, და ამიტომ არ ახდენს გავლენას კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილზე, მათ შორის საპროცენტო შემოსავალზე და საკურსო სხვაობიდან მიღებულ შემოსულობაზე, რაც არ ხდება ფასს (IFRS) 15-ის ფარგლებში. კომპანიის შეფასებით ფასს (IFRS) 15-ს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფულადი გზავნილებიდან მიღებულ საკომისიო შემოსავალზე. შედეგად, ფასს (IFRS) 15-ს გავლენა არ მოუხდენია კომპანიაზე.

საანგარიშგებო პერიოდში ძალაში შესულ სხვა ახალ ან გადასინჯულ ფასს-ს არ უმოქმედია კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან შედეგებზე.

#### სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედეგად:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე; ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა (გაგრძელება)

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად – არასაბაზრო მონაცემებს. ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

#### ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

##### *პირველადი აღიარება*

##### *აღიარების თარიღი*

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია ანგარიშსწორების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც შესყიდული აქტივი კომპანიას გადაეცა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

##### *თავდაპირველი შეფასება*

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია მათ სახელშეკრულებო პირობებზე და ინსტრუმენტების მართვის ბიზნეს-მოდელზე. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით და, მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა, გარიგების დანახარჯები ემატება ან აკლდება ამ თანხას.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

*ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები*

2018 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ მოახდინა მისი ყველა ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელის საფუძველზე, ხოლო აქტივების სახელშეკრულებო პირობები შეფასდა ქვემოთ მოცემულიდან ერთერთით:

- ▶ ამორტიზებული ღირებულება;
- ▶ სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- ▶ სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია მისი წარმოებული ინსტრუმენტების პორტფელის კლასიფიკაციას და შეფასებას ახდენს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. კომპანიამ შესაძლოა განსაზღვროს ფინანსური ინსტრუმენტი სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, თუ ეს აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად შეამცირებს შეფასების ან აღიარების არათანმიმდევრულობას.

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანიამ მოახდინა მისი ფინანსური აქტივების სესხებად და დებიტორულ დავალიანებად კლასიფიცირება (ამორტიზებული ღირებულება), სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში, გასაყიდად გამიზნული ან დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებული (ამორტიზებული ღირებულება).

ფინანსური ვალდებულებები, გარდა სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური თავდებობებისა, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, თუ ისინი სავაჭროდ არიან ფლობილი, წარმოებული ინსტრუმენტებია ან გამოიყენება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრება.

*ფულადი სახსრების ეკვივალენტები და მომხმარებლებზე გაცემული სესხები – ამორტიზებული ღირებულება*

2018 წლის 1 იანვრამდე, ფულადი სახსრები და კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავდა არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული და განსაზღვრებადი გადახდებით, რომლებიც არ იყო განთავსებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ არაწარმოებული ფინანსური აქტივებისა:

- ▶ რომლებსაც კომპანი უპირებს დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში გაყიდვას;
- ▶ რომლებსაც თავდაპირველი აღიარებისას კომპანიამ გამსაზღვრა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ან გასაყიდად გამიზნულის კატეგორიაში;
- ▶ რომლებიც კომპანიამ შეიძლება მთლიანად არ ამოიღოს თავდაპირველი ინვესტიცია ამა თუ იმ მიზეზით, გარდა კრედიტის გაუფარესების მიზეზისა, რომლებიც განისაზღვრა გასაყიდად გამიზნულის სახით.

2018 წლის 1 იანვრიდან კომპანია კლიენტებზე გაცემულ სესხებს და სხვა ფინანსურ ინვესტიციებს აფასებს მხოლოდ ამორტიზებული ღირებულებით, თუ დაცულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით;
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამ პირობების შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის განსაზღვრული.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

##### ბიზნეს მოდელის შეფასება

კომპანია თავის ბიზნეს-მოდელს განსაზღვრავს ისეთ დონეზე, რომელიც საუკეთესად ასახავს როგორ მართავს ის ფინანსური აქტივების ჯგუფს მისი საქმიანი მიზნების მისაღწევად.

კომპანიის ბიზნეს მოდელი არ ფასდება თითოეული ინსტრუმენტის საფუძველზე. ის აფასებს აგრეგირებული პორტფელების უმაღლეს დონეზე და ის ეფუძნება ემპირიული ფაქტორების საფუძველზე, როგორც არის შემდეგი:

- ▶ როგორ ფასდება ბიზნეს-მოდელის განხორციელება და ამგვარ ბიზნეს-მოდელში შემავალი ფინანსური აქტივები და როგორ ხდება მათი ანგარიშგება საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიმართ;
- ▶ როგორ ფასდება ბიზნეს-მოდელის განხორციელება და ამგვარ ბიზნეს-მოდელში შემავალი ფინანსური აქტივები და როგორ ხდება მათი ანგარიშგება საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიმართ;
- ▶ როგორ ხდება საქმიანობის მენეჯერების კომპენსირება (მაგალითად, თუ კომპენსაცია ეფუძნება მართვის ქვეშე მყოფი აქტივების სამართლიან ღირებულებას ან მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს);
- ▶ გაყიდვების მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და ვადები კომპანიის შეფასების სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს წარმოადგენს.

ბიზნეს-მოდელის შეფასება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებს ეფუძნება, 'ყველაზე ცუდი' და 'სტრესული შემთხვევის' სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფულადი ნაკადები რეალიზდება ისეთი ფორმით, რომელიც განსხვავდება კომპანიის თავდაპირველი მოლოდინებისგან, კომპანია არ ცვლის ამგვარ ბიზნეს-მოდელში წარმოდგენილი დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას. ამის ნაცვლად ის ამგვარ ინფორმაციას იყენებს ახლად წარმოქმნილი ან ახლად შექმნილი ფინანსური აქტივების შეფასებას.

##### SPPI-ტესტი

კლასიფიკაციის პროცესის მეორე ეტაპის სახით, იმის განსასაზღვრად, აკმაყოფილებს თუ არა ის SPPI-ტესტის მოთხოვნებს, კომპანია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს აფასებს.

ამ ტესტის მიზნებისთვის 'ძირითადი თანხა' განისაზღვრება ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების სახით, თავდაპირველი აღიარებისას და შესაძლოა შეიცვალოს ფინანსური აქტივის ვადის განმავლობაში (მაგალითად, თუ ადგილი აქვს ძირითადი თანხის დაფარვას ან პრემიის/ფასდაკლების ამორტიზაციას).

სასესხო გარიგებებში პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტები, ჩვეულებრივ, წარმოადგენს გადახდებს ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკისთვის. მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების შესაფასებლად, კომპანია იყენებს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ შესაბამის ფაქტორებს, როგორც არის ვალუტა, რომელშიც გამოხატულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც განისაზღვრება საპროცენტო კვანაკვეთი.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

შედარებისთვის, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ რისკების მინიმუმზე მეტ დაქვემდებარებას ან ისეთი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში არასტაბილურობა, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სასესხო გარიგებებს, არ წარმოშობს სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ თანხაზე. ასეთ შემთხვევებში, ფინანსური აქტივი სამართლიანი ღირებულებით უნდა შეფასდეს, მოგებაში ან ზარალში.

#### სესხები და დებიტორული დავალიანებები

2018 წლის 1 იანვრამდე სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივები იყო, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ განეკუთვნება სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ კლასიფიცირდება სავაჭრო ფასიან ქაღალდებად ან გასაყიდად გამიზნულ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებად. აღნიშნული აქტივები აღრიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგების და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება სესხების და დებიტორული დავალიანების აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების შემთხვევაში, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

#### ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და საკრედიტო დაწესებულებებისგან მისაღები მოთხოვნამდე და გაცემიდან 90 დღის ვადის მქონე თანხებისგან და თავისუფალნი არიან სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან.

#### წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, კომპანია უცხოურ სავალუტო ბაზარზე იყენებს სავალუტო სვოპებს. კონტრაქტები უმეტესად ადგილობრივი ბანკებია.

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ფასწარმოქმნის მოდელის შესაბამისად, სადაც გათვალისწინებულია შესაბამისი ინსტრუმენტის მიმდინარე საბაზრო და სახელშეკრულებო ფასი და სხვა ფაქტორები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აისახება, როგორც აქტივები, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და როგორც ვალდებულებები, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ამ ინსტრუმენტებიდან მიღებული მოგება ან ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან წმინდა შემოსულობის/(ზარალის) ფარგლებში.

მიუხედავად რისკის ჰეჯირების მიზნებისთვის წარმოებული ინსტრუმენტებისა. ეს ინსტრუმენტები არ წარმოადგენს ჰეჯირების აღრიცხვას.



(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ნასესხები სახსრები და გამოშვებული მარტივი თამასუქები

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება ვალდებულებების სახით მაშინ, როდესაც მფლობელის წინაშე სახელშეკრულებო გარიგებების შედეგად კომპანიას წარმოეშობა ვალდებულება, რომ გადაიხადოს ფული ან ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვაგვარად დააკმაყოფილოს ეს ვალდებულება, გარდა განსაზღვრული ფულადი თანხის ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის სანაცვლოდ საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების განსაზღვრული რაოდენობის მიღებისა. ეს ინსტრუმენტები მოიცავს გამოშვებულ მარტივ თამასუქებსა და ნასესხებ სახსრებს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

#### ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, და ის ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში, კორექტირდება გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯებით.

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო შეფასება არის გარიგების ფასი. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ თავდაპირველი აღიარებისას შეფასებული სამართლიანი ღირებულება განსხვავდება გარიგების ფასისგან, მაშინ:

- ▶ თუ სამართლიანი ღირებულება დასტურდება აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასით (ე.ი. 1-ლი დონის მდგენელი) ან ეყრდნობა შეფასების მეთოდს, რომელიც გამოიყენებს მხოლოდ საბაზრო ინფორმაციას, მაშინ კომპანია აღიარებს სხვაობას თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, როგორც მოგებას ან ზარალს საპროცენტო შემოსავალში ან ხარჯებში, შესაბამისად;
- ▶ ყველა დანარჩენ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება დაკორექტირდება, რომ გადაავადოს სხვაობა თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის. თავდაპირველი აღიარების შემდეგ კომპანია ამ გადავადებულ სხვაობას აღიარებს, როგორც შემოსულობას ან ზარალს მხოლოდ მაშინ, როდესაც მონაცემები გახდება ბაზარზე მოპოვებადი, ან როდესაც ინსტრუმენტების აღიარება შეწყდება.

#### ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი. ურთიერთგაქვითვის უფლების გამოყენება არ უნდა ხდებოდეს სამომავლო შემთხვევის დადგომის პირობით და ნებადართული უნდა იყოს:

- ▶ ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში;
- ▶ დეფოლტის შემთხვევაში; და
- ▶ კომპანიის და ყველა კონტრაქტის არაკრედიტუნარიანობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ეს პირობები, ზოგადად, არ სრულდება ძირითად საკლირინგო ხელშეკრულებებში და შესაბამისი აქტივები და ვალდებულებები მთლიანად არის წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივების გაუფასურება ბას (IAS) 39-ის საფუძველზე

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების რაიმე ობიექტური ნიშნის არსებობას. ფინანსური აქტივი თუ ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მხოლოდ მაშინ მიიჩნეოდა, თუ არსებობდა რამე შემთხვევის ან შემთხვევების შედეგად გამოწვეული გაუფასურების ობიექტური საფუძველი, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“) და ზარალის დადგომის შემთხვევას ან შემთხვევებს გავლენა ჰქონდა ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრა იყო შესაძლებელი. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალემ ან მევალეთა ჯგუფმა განიცადეს მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, დაარღვიეს სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულება და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებდა ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორც არის ცვლილებები ვადაგადაცილებული გადახდების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობა.

#### მომხმარებლებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხების შემთხვევაში, კომპანიამ კოლექტიურად შეაფასა, არსებობდა თუ არა ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. კომპანიამ კოლექტიურად შეაფასა მსგავსი საკრედიტო რისკების მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფების გაუფასურება.

თუ არსებობდა გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღირიცხებოდა, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (გარდა მომავალში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია).

აქტივის საბალანსო ღირებულება შემცირდა გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აღიარდა მოგებაში ან ზარალში. საპროცენტო შემოსავალი დაერიცხა დაუფარავ ძირითად თანხას აქტივის თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით.

გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია კომპანიის შიდა საკრედიტო რანჟირების სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ვადაგადაცილების სტატუსს, სესხის ვალუტასა და საკრედიტო პროდუქტს.

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განისაზღვრა მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ზარალის ისტორიული მონაცემები დაკორექტირდა ამჟამინდელ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა გათვალისწინებული ყოფილიყო იმჟამინდელი პირობები, რომლებიც არ მოქმედებდა ისტორიული ზარალის წლებში, და არ ყოფილიყო გათვალისწინებული ისტორიული ზარალის პერიოდის ის გარემოებები, რომლებიც აღარ არსებობდა. სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებები ასახავდა და უკავშირდებოდა წლიდან წლამდე გარკვეული თარიღისათვის მომხდარ ცვლილებებს (როგორცაა გადახდისუნარიანობა და სხვა ფაქტორები, რომლებიც ჯგუფში ზარალის ან მისი მასშტაბის განმსაზღვრელია). სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიის და იმ დაშვებების გადახედვა, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, რეგულარულად ხდებოდა განსაზღვრულ და რეალურ ზარალს შორის სხვაობის შემცირების მიზნით.

ინფორმაცია ფასს (IFRS) 9-ის საფუძველზე გაუფასურების შეფასების შესახებ წარმოდგენილია მე-17 შენიშვნაში.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

##### ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ▶ ამოიწერა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ▶ კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

##### ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

##### ჩამოწერები

2018 წლის 1 იანვრიდან, ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან – მთლიანად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია შეწყვეტს აღდგენის განხორციელებას. სალომზარდე სესხები, მასთან დაკავშირებულ რეზერვთან ერთად, ჩვეულებრივ ჩამოიწერება და ხდება უზრუნველყოფის საგნის დაუფლება, როდესაც შესაბამის სესხზე 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება დაფიქსირდება. უიმედო იპოთეკური სესხები ჩამოიწერება მაშინ, როდესაც უზრუნველყოფის საგნის ამოღების პროცედურები სრულდება და ფულადი ნაკადების შემდგომი მიღება აღარ არის მოსალოდნელი მსესხებლისგან ან უზრუნველყოფის საგნიდან, რასაც შეიძლება 2 წელი დასჭირდეს. თუ ჩამოსაწერი თანხა აღემატება დაგროვილი ცვეთის რეზერვს, სხვაობა თავდაპირველად აღირიცხება რეზერვზე დამატების სახით, რომელიც შემდეგ გამოიყენება მთლიან საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში. ნებისმიერი შემდგომი ანაზღაურება განეკუთვნება საკრედიტო ზარალის ხარჯს. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

##### გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი იანგარიშება საქართველოს საგადასახადო კოდექსის ნორმატიული აქტების შესაბამისად.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### გადასახადები (გაგრძელება)

გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარებიდან იმ ოპერაციაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ საგადასახადო მოგება-ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღირიცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც შესაძლებელი იქნება დროებითი გამოქვითვადი სხვაობების გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ფასდება საგადასახადო განაკვეთებით (რომლებიც ვრცელდება გაუნაწილებელ მოგებაზე), რომლებიც სავარაუდოდ იმოქმედებს აქტივის რეალიზაციის ან ვალდებულების გასტუმრების პერიოდში, იმ საგადასახადო განაკვეთების საფუძველზე, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს ანგარიშგების თარიღისთვის.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები შესულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

#### მვირფასი ლითონები

ოქრო და სხვა მვირფასი ლითონები, რომლებიც მიიღება უზრუნველყოფის საგნის სახით უიმედო მსესხებლებისგან სესხების დასაფარად, თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც უტოლდება დასაკუთრების თარიღისთვის დაფარული სესხის წმინდა საბალანსო ღირებულებას. ამის შემდეგ იზომება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება გადადნობის მოსალოდნელი დანახარჯებით შემცირებული ბლუმბერგის შეთავაზებული ფასით. სამართლიანი ღირებულების ცვლილებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ოქროს ზოდების გასხვისების შედეგად მიღებული მოგება/ზარალი აღირიცხება უცხოური ვალუტებისგან წმინდა ნამეტი შემოსავლის ნაწილში.

#### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, გარდა ყოველდღიური მომსახურების ხარჯებისა, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების მოცულობა. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
შენობა-ნაგებობები	25
სხვა	5

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს. პირველადი აღიარებისას არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო ეკონომიკური ხანგრძლივობის – 5-7 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. ამორტიზაციის ვადების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი ფისკალური წლის ბოლოს.

#### ანარიცხები

რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი.

#### შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ შეფასება.

#### საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

2018 წლის 1 იანვრიდან, კომპანია ანგარიშობს საპროცენტო შემოსავალს სასესხო ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, ფინანსური აქტივების ბრუტო საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გაუფასურებული აქტივების გამოკლებით (2018 წლის 1 იანვრამდე: ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც მომავალში მოსალოდნელი გადახდების ან ფულადი სახსრების ზუსტ დისკონტირებას ახდენს ფინანსური ინსტრუმენტის ვადაზე ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ კომპანია გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივი გაუფასურდება, კომპანია საპროცენტო შემოსავალს ანგარიშობს ფინანსური აქტივის წმინდა ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ფინანსური აქტივები გამოსწორდება და აღარ იქნება გაუფასურებული, კომპანია დაუბრუნდება საპროცენტო შემოსავლის ბრუტო საფუძველზე დაანგარიშების მეთოდს.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### შემოსავლისა და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის, კომპანია საპროცენტო შემოსავალს ანგარიშობს შეცვლილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშების და ამ განაკვეთის აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე მორგებით. შეცვლილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ახდენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (საკრედიტო ზარალის ჩათვლით) შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული აქტივების ამორტიზებულ ღირებულებამდე დისკონტირებას.

#### მიღებული გასამრჯელო და საკომისიო

კომპანია გამოიმუშავებს საკომისიოს ფულადი გზავნილებიდან, რომელთა აღიარებაც ხდება საბაზისო ოპერაციის დასრულებისთანავე. თითოეული ოპერაცია განიხილება ინდივიდუალურ შესასრულებელ მოვალეობად.

#### უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღრიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ხელახლა კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი – საკურსო სხვაობა.

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია უცხოურ ვალუტებიდან მიღებული წმინდა მოგების/ზარალის ნაწილში.

#### სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ სტანდარტების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

#### ფასს (IFRS) 16 – „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ის ჩაანაცვლებს ზასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასიკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა – სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ზასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის – „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე.ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე.ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას საბაზისო აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე.ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

#### სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს (IFRS) 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს (IAS) 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორც ბასს (IAS) 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს (IFRS)16-ით, რომელიც მოქმედია 2019 წლის 1 იანვარს და ამ თარიღის შემდგომი წლიური პერიოდებისთვის, როგორც მოიჯარეებს, ისე – მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს (IAS) 17-ის საფუძველზე ხდებოდა.

კომპანია ფასს (IFRS) 16-ის მიღებას რეტროსპექტულად გეგმავს ფასს (IFRS) 16-ის თავდაპირველი გამოყენების კუმულაციური ეფექტით, რომელიც აღიარდება თავდაპირველი გამოყენების თარიღში. კომპანია მიიღებს გადაწყვეტილებას სტანდარტი გამოიყენოს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც წინასწარ განისაზღვრება იჯარებად ბასს (IAS) 17 და ფასიკ (IFRIC) 4-ის გამოყენებით. შესაბამისად, კომპანია სტანდარტს გამოიყენებს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც წინასწარ არ განისაზღვრება იჯარად ბასს (IAS) 17 და ფასიკ (IFRIC) 4-ის გამოყენებით.

კომპანია ამ სტანდარტით შემოთავაზებულ გამონაკლისებს გამოიყენებს საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, რომლისთვისაც იჯარის ვადა სრულდება თავდაპირველი გამოყენებიდან 12 თვის განმავლობაში, ასევე საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, რომლისთვისაც საბაზისო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს.

კომპანია ამჟამად აფასებს ფასს (IFRS) 16-ის გავლენას, თუმცა არ მოელოს მის კაპიტალზე რაიმე გავლენას სტანდარტზე გადასვლის თარიღში.

მოსალოდნელი არ არის, რომ რომელიმე სხვა სტანდარტს, რომელიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ არის ამოქმედებული, არსებითი გავლენა ექნება კომპანიაზე.

### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის შესაბამისად მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების გაცხადებული თანხებზე.

(ათას ლარში)

#### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

##### განუსაზღვრელობის შეფასება

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების დასადგენად, კომპანიის ხელმძღვანელობამ სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას გამოიყენა თავისი შეფასებები. მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია:

##### *ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება*

როდესაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების მიღება აქტიური ბაზრებიდან ვერ ხერხდება, ისინი განისაზღვრება შეფასების სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის მათემატიკური მოდელებით. ამ მეთოდებისთვის ინფორმაცია აიღება ბაზრიდან, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, სამართლიანი ღირებულება შეფასების საფუძველზე განისაზღვრება. იხილეთ მე-19 შენიშვნა.

##### *სესხების გაუფასურების რეზერვი*

კლიენტებზე გაცემული სესხებზე გაუფასურების ზარალის შეფასება ფასს (IFRS) 9-ის საფუძველზე, საჭიროებს მსჯელობას, კერძოდ, მომავალი ფულადი ნაკადების და უზრუნველყოფის საგნის ღირებულებების თანხის და ვადების შეფასებას გაუფასურების ზარალის განსაზღვრის და საკრედიტო რისკში მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებისას. ამ შეფასებებზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს, რომელთა ცვლილებები შესაძლოა აისახოს რეზერვების სხვადასხვა დონეში. კომპანიის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებები კომპლექსური მოდელების მონაცემებს წარმოადგენს, ცვლადი მონაცემების და მათი ინტერპრეტაციების შერჩევასთან დაკავშირებული სხვადასხვა საბაზისო მოსაზრებებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელების ელემენტები, რომლებიც შესაბამის სააღრიცხვო მსჯელობებს და შეფასებებს წარმოადგენს, მოიცავს შემდეგს:

- ▶ ჯგუფის კრიტერიუმი იმის შესაფასებლად არსებობს თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა და უნდა შეფასდეს თუ არა რეზერვები ფინანსური აქტივებისთვის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის და თვისებრივი შეფასების საფუძველზე;
- ▶ ფინანსური აქტივების სეგმენტაცია, როცა მათი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება კოლექტიურ დონეზე;
- ▶ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის შემუშავება, მათ შორის სხვადასხვა ფორმულის და ამოსავალი მონაცემების შერჩევა;
- ▶ ასოციაციების განსაზღვრა მაკროეკონომიკურ სცენარებს და ისეთ ეკონომიკურ ამოსავალ მონაცემებს შორის, როგორც არის მშპ-ს ზრდის განაკვეთი და უზრუნველყოფის საგნის ღირებულება, მოსალოდნელი დეფოლტის და დეფოლტის შემთხვევაში ზარალის გავლენა;
- ▶ მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური სცენარების და მათი ალბათობის კოეფიციენტის შერჩევა ეკონომიკური ამოსავალი მონაცემებისდან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მისაღებად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული სესხის გაუფასურების რეზერვის ოდენობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,140 იყო (2017 წ.: 2,613). დამატებითი დეტალები წარმოდგენილია მე-7 შენიშვნაში.



(ათას ლარში)

## 5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს:

	2018	2017
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	22,132	32,906
მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში	28,343	42,063
	<b>50,475</b>	<b>74,969</b>

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 27,594 ლარი, ანუ სხვა საკრედიტო ინსტიტუტებში მიმდინარე ანგარიშების 97% (2017 წ.: 39,781 ლარი, ანუ 95%) განთავსებულია სამ (2017 წ.: სამ) ქართულ ბანკში, რომლებსაც მინიჭებული აქვთ „B+“-დან „BB“-მდე რეიტინგები (სარეიტინგო სააგენტო Fitch-ისგან). ფულის ეკვივალენტებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უმნიშვნელოა და პერიოდის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მნიშვნელოვან მოძრაობებს ადგილი არ ჰქონია. საკრედიტო ინსტიტუტებში შექმნის თარიღის შემდეგ მიმდინარე ანგარიშების საკრედიტო რისკში მნიშვნელოვანი ზრდა არ დაფიქსირებულა.

## 6. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

სავალუტო რისკის შესამსუბუქებლად კომპანია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს იყენებს. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებებს, რომლებიც აღრიცხულია აქტივებად და ვალდებულებებად მათ პირობით თანხებთან ერთად. ჯამურად აღრიცხული პირობითი თანხა წარმოადგენს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის საბაზისო აქტივის თანხას და საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც ფასდება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილება. პირობითი თანხები ასახავს ოპერაციათა მოცულობას წლის ბოლოსთვის და არ მოიცავს საკრედიტო რისკს.

	2018 წლის 31 დეკემბერი			2017 წლის 31 დეკემბერი		
	პირობითი თანხა	სამართლიანი აქტივი	ღირებულებები ვალდებულება	პირობითი თანხა	სამართლიანი აქტივი	ღირებულებები ვალდებულება
<b>სავალუტო ხელშეკრულებები</b>						
სავალუტო სვოპი – ადგილობრივი	70,173	242	(226)	100,608	585	(701)

სავალუტო სვოპი სახელშეკრულებო შეთანხმებაა ორ მხარეს შორის, უცხოური ვალუტის განაკვეთებში მოძრაობების აღსარიცხად, კონკრეტული პირობითი თანხის საფუძველზე.

## 7. კლიენტებზე გაცემული სესხები

კომპანიამ გასცემს მცირე და საშუალო ზომის სესხებს ფიზიკურ პირებზე; იპოთეკური სესხები უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, ხოლო სალომბარდო სესხები უზრუნველყოფილია ძვირფასი ლითონებით (ძირითადად ოქროთი) და საკმაულებით.

სალომბარდო სესხები, ჩვეულებრივ, 1 თვიდან 6 თვემდე ვადით გაიცემა და მსესხებლისა და კომპანიის ორმხრივი შეთანხმებით შესაძლებელია ვადის გაგრძელება. იპოთეკური სესხების ვადა, ჩვეულებრივ, 35 თვეა.

(ათას ლარში)

## 7. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	2018	2017
სალომბარდო სესხები	171,341	146,642
იპოთეკური სესხები	46,193	57,325
<b>მომხმარებლებზე გაცემული მთლიანი სესხები</b>	<b>217,631</b>	<b>203,967</b>
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(2,140)	(2,613)
<b>მომხმარებლებზე გაცემული სესხები</b>	<b>215,491</b>	<b>201,354</b>

### კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მთლიან საბალანსო ღირებულებაში და სამომხმარებლო სესხებთან მიმართებაში შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში ცვლილებების ანალიზი მოიცავდა შემდეგს:

სალომბარდო სესხები	პირველი ეტაპი	მეორე ეტაპი	მესამე ეტაპი	სულ
<b>მთლიანი საბალანსო ღირებულება</b>				
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	143,834	1,270	1,424	146,528
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	201,869	–	–	201,869
დაფარული აქტივები	(173,431)	(522)	(524)	(174,477)
გადატანები პირველ ეტაპზე	56	(50)	(6)	–
გადატანები მეორე ეტაპზე	(2,536)	2,537	(1)	–
გადატანები მესამე ეტაპზე	(1,470)	(1,005)	2,475	–
აღდგენები	–	–	341	341
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	(9)	(857)	(2,054)	(2,920)
<b>2018 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>168,313</b>	<b>1,373</b>	<b>1,655</b>	<b>171,341</b>

სალომბარდო სესხები	პირველი ეტაპი	მეორე ეტაპი	მესამე ეტაპი	სულ
<b>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი</b>				
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	56	–	43	99
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	55	–	–	55
დაფარული აქტივები	(48)	–	(369)	(417)
გადატანები მეორე ეტაპზე	(4)	4	–	–
გადატანები მესამე ეტაპზე	–	(4)	4	–
პერიოდის განმავლობაში ეტაპებს შორის კრედიტის ოდენობის გადატანების გავლენა პერიოდის ბოლოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	–	–	31	31
აღდგენები	–	–	341	341
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	(13)	–	(14)	(27)
<b>2018 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>46</b>	<b>–</b>	<b>36</b>	<b>82</b>

(ათას ლარში)

**7. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)**

**კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი (გაგრძელება)**

იპოთეკური სესხები	პირველი ეტაპი	მეორე ეტაპი	მესამე ეტაპი	სულ
<b>მთლიანი საბალანსო ღირებულება</b>				
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	55,386	129	1,924	57,439
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	10,128	–	–	10,128
დაფარული აქტივები	(22,154)	(3)	(137)	(22,294)
გადატანები პირველ ეტაპზე	5	(5)	–	–
გადატანები მეორე ეტაპზე	(1,041)	1,072	(31)	–
გადატანები მესამე ეტაპზე	–	(1,067)	1,067	–
ჩამოწერილი თანხები	–	–	(389)	(389)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	1,230	13	163	1,406
<b>2018 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>43,554</b>	<b>139</b>	<b>2,597</b>	<b>46,290</b>

იპოთეკური სესხები	პირველი ეტაპი	მეორე ეტაპი	მესამე ეტაპი	სულ
<b>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი</b>				
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	877	2	1,635	2,514
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი აქტივები	33	–	–	33
დაფარული აქტივები	(672)	–	(51)	(723)
გადატანები მეორე ეტაპზე	(3)	3	–	–
გადატანები მესამე ეტაპზე	–	(3)	3	–
პერიოდის განმავლობაში ეტაპებს შორის კრედიტის ოდენობის გადატანების გავლენა				
პერიოდის ბოლოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	–	–	732	732
ჩამოწერილი თანხები	–	–	(390)	(390)
სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა	(92)	(2)	(14)	(108)
<b>2018 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>143</b>	<b>–</b>	<b>1,915</b>	<b>2,058</b>

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი შემდეგ კატეგორიებად იყოფა:

	სალომბარდო სესხები	იპოთეკური სესხები	სულ
2017 წლის 1 იანვარს	1,126	1,705	2,831
წლის დანარიცხი	565	1,183	1,748
ჩამოწერილი თანხები	(608)	(1,358)	(1,966)
<b>2017 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>1,083</b>	<b>1,530</b>	<b>2,613</b>

**სესხის უზრუნველყოფა**

უზრუნველყოფის საგნის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. შემუშავებულია უზრუნველყოფის საგნის ტიპებისა და შეფასების პარამეტრების ინსტრუქციები.

(ათას ლარში)

## 7. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

### სესხის უზრუნველყოფა (გაგრძელება)

მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი ტიპებია:

- ▶ ძვირფასი ლითონები;
- ▶ უძრავი ქონება.

ხელმძღვანელობა ახდენს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულების მონიტორინგს, მოითხოვს დამატებით უზრუნველყოფას სესხის ხელშეკრულების თანახმად და თავლყურს ადევნებს სესხის გაუფასურების რეზერვის ადეკვატურობის გადახედვისას მიღებული უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას.

კომპანიას უფლება აქვს ხელახლა დააგირაოს სალომბარდო სესხის ფარგლებში მიღებული უზრუნველყოფის საგანი, კლიენტის დეფოლტის არარსებობის შემთხვევაში. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სალომბარდო სესხების ფარგლებში უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ძვირფასი ლითონების სამართლიანი ღირებულება უდრიდა 224,256 ლარს (2017 წ.: 186,828 ლარი), საიდანაც 1,482 ლარის ფლობა ხდებოდა გაუფასურებულ სესხებთან მიმართებაში. უზრუნველყოფის საგნის არარსებობისას, გაუფასურებულ იპოთეკურ სესხებთან დაკავშირებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 682 ათასი ლარით უფრო მაღალი იქნებოდა.

ქვემოთ მოცემულია კლიენტებზე გაცემული სესხების მიმოხილვა, რომლებზეც სხვადასხვა ტიპის უზრუნველყოფა მოქმედებს. აქ ასახულია 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისი სესხების საბალანსო ღირებულება, მაგრამ არა წარმოდგენილი უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება:

	2018 წლის 31 დეკემბერი	წილი სასესხო პორტფელში %	2017	წილი სასესხო პორტფელში %
ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები	173,327	79.6%	133,763	65%
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	42,406	19.5%	57,325	28%
სამკაულებით უზრუნველყოფილი სესხები	270	0.1%	11,852	6%
გამოშვებული მარტივი თამასუქებით უზრუნველყოფილი სესხები	1	0.0%	65	0%
არაუზრუნველყოფილი სესხები	1,629	0.7%	962	1%
<b>კლიენტებზე გაცემული სესხები, მთლიანი</b>	<b>217,633</b>	<b>100%</b>	<b>203,967</b>	<b>100%</b>
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(2,141)		(2,613)	
<b>მომხმარებლებზე გაცემული სესხები, სულ</b>	<b>215,492</b>		<b>201,354</b>	

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 80,040 ლარის ოდენობით სამართლიანი ღირებულების მქონე (2017 წ.: 63,036 ლარი) უზრუნველყოფა კლიენტების მიერ სალომბარდო სესხების ფარგლებში დაგირავებული ძვირფასი ლითონების სახით, ხელახლა დაგირავდა ქართული ბანკებისგან ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად (მე-12 შენიშვნა).

(ათას ლარში)

## 8. ძირითადი საშუალებები

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით გამოწვეული გადაანგარიშების მიხედვით, ძირითად საშუალებებში ადგილი ჰქონდა შემდეგ მოძრაობებს (მე-2 შენიშვნა):

	მიწა და შენობა- ნაგებობები	კომპიუტერული და საკომუნიკაციო აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
<b>თვითღირებულება</b>					
2017 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	11,776	2,960	961	1,057	16,754
შესყიდვები	177	986	517	330	2,010
გასვლები	-	-	-	(100)	(100)
2018 წლის 31 დეკემბერი	11,953	3,946	1,478	1,287	18,664
<b>დარიცხული ცვეთა და გაუფასურება</b>					
2017 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	(2,393)	(2,029)	(528)	(784)	(5,734)
ცვეთის დანარიცხი	(492)	(404)	(186)	(141)	(1,223)
გასხვისება და ჩამოწერა	-	-	-	100	100
2018 წლის 31 დეკემბერი	(2,885)	(2,433)	(714)	(825)	(6,857)
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>					
2017 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	9,383	931	433	273	11,020
2018 წლის 31 დეკემბერი	9,068	1,513	764	462	11,807
<b>თვითღირებულება</b>					
2017 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)	11,391	2,734	806	1,057	15,988
შესყიდვები	385	226	155	-	766
გასვლები	-	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	11,776	2,960	961	1,057	16,754
<b>დარიცხული ცვეთა და გაუფასურება</b>					
2017 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)	(1,916)	(1,615)	(395)	(635)	(4,561)
ცვეთის დანარიცხი	(477)	(414)	(133)	(149)	(1,173)
2017 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	(2,393)	(2,029)	(528)	(784)	(5,734)
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>					
2017 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)	9,475	1,119	411	422	11,427
2017 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	9,383	931	433	273	11,020

კომპანიის 662 ლარის საბალანსო ღირებულების მქონე (2017 წ.: 1,874 ლარი) შენობა-ნაგებობებით უზრუნველყოფილია ქართული ბანკისგან მიღებული სესხი (მე-12 შენიშვნა).

(ათას ლარში)

## 9. საშემოსავლო გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს:

	2018	2017
მიმდინარე გადასახადის დანარიცხი	(4,748)	(4,448)
გადავადებული გადასახადის დანარიცხი / (კრედიტი) – დროებითი სხვაობების წარმოშობა და ამობრუნება	(610)	(337)
<b>მოგების გადასახადის ხარჯი</b>	<b>(5,358)</b>	<b>(4,785)</b>

საქართველოში იურიდიულ პირებს მოეთხოვებათ მოგების გადასახადის დეკლარაციების წარდგენა. 2018 და 2017 წლებში მოგების გადასახადის სტანდარტული განაკვეთი კომპანიებისთვის საქართველოში 15%-ს შეადგენდა.

მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოგების გადასახადის განაკვეთისგან. ქვემოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული განაკვეთების მიხედვით მოგების გადასახადის ხარჯი შესაბამისობაშია მოყვანილი გადასახადის რეალურ ოდენობასთან:

	2018	2017
<b>დასაბეგრი მოგება</b>	<b>33,944</b>	<b>33,782</b>
კანონით დადგენილი საგადასახადო განაკვეთი	15%	15%
<b>თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით</b>	<b>(5,092)</b>	<b>(5,067)</b>
გადასახადით დაუბეგრავი მოგება	310	659
გამოუქვითავი დანახარჯები	(97)	(377)
საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების ეფექტი (ა)	(479)	-
<b>მოგების გადასახადის ხარჯი</b>	<b>(5,358)</b>	<b>(4,785)</b>

(ა) 2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში შევიდა ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. 2018 წლის 5 მაისს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილებები და ამოქმედების თარიღმა გადაიწია 2023 წლის 1 იანვრამდე. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

(ათას ლარში)

## 9. მოგების გადასახადი (გაგრძელება)

ამ ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, კომპანიამ თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ხელახლა შეაფასა საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა ამოქმედებაც მოსალოდნელია იმ პერიოდში, როდესაც აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების გასტუმრება ხდება. ბასს (IAS) 12-ის „მოგების გადასახადი“ თანახმად, კომპანიამ გაუნაწილებელი მოგებისთვის გამოიყენა 0%-იანი საგადასახადო განაკვეთი იმ აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, რომელთა რეალიზაცია ან გასტუმრება მოსალოდნელია ახალი რეგულაციის მოქმედების პერიოდებში. 2018 წლის განმავლობაში საგადასახადო რეგულაციების ცვლილებების შედეგად, კომპანიამ აღიარა 479 ლარის ოდენობით გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების აღიარების შედეგად მიღებული მოგების გადასახადის ხარჯი 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგებაში ან ზარალში.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი მოძრაობა შესაბამის წლებში შემდეგია:

	დროებითი სხვაობების წარმოშობა და გაუქმება		დროებითი სხვაობების წარმოშობა და გაუქმება	
	2017 წლის 1 იანვარი	მოგება-ზარალის ანგარიშგებაში	2017	მოგება-ზარალის ანგარიშგებაში
<b>გამოსაქვითი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი</b>				
არამატერიალური აქტივები	5	-	5	1
კლიენტებზე გაცემული სესხები, წმინდა	855	(284)	571	(516)
გამომწვეული მარტივი თამასუქები	306	(124)	182	(105)
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	-	-	(38)
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	-	11	11	23
სხვა აქტივები	274	(98)	176	73
<b>გადავადებული საგადასახადო აქტივი</b>	<b>1,440</b>	<b>(495)</b>	<b>945</b>	<b>(562)</b>
<b>დასაბეგრი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი</b>				
ძირითადი საშუალებები	(321)	158	(163)	(48)
<b>გადავადებული საგადასახადო ვალდებულება/(აქტივი)</b>	<b>1,119</b>	<b>(337)</b>	<b>782</b>	<b>(610)</b>

## 10. სხვა აქტივები

სხვა აქტივებს მიეკუთვნება:

	2018	2017
ოქროს ზოდები	7,823	2,055
მოთხოვნები ფულადი გზავნილების კომპანიების მიმართ	9,286	7,223
დასაკუთრებული სამკაულები	1,032	829
სხვა	860	761
ოქროს ზოდების გაყიდვიდან მისაღები დებიტორული დავალიანებები	19	2,586
	<b>19,020</b>	<b>13,454</b>

ფულადი გზავნილების კომპანიების მიმართ მოთხოვნების და ოქროს ზოდების გაყიდვიდან წარმოქმნილი დებიტორული დავალიანებების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უმნიშვნელოა და პერიოდის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მნიშვნელოვან მოძრაობებს ადგილი არ ჰქონია.

(ათას ლარში)

### 11. გამოშვებული მარტივი თამასუქები

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას გამოშვებული ჰქონდა მოკლევადიანი (მირითადად, ერთწლიანი) პროცენტის მარტივი თამასუქები, რომლებიც გამოხატულია ლარში, ევროსა და აშშ დოლარში:

ვალუტები	2018	2017
აშშ დოლარი	101,060	124,874
ლარი	8,606	7,156
ევრო	1,639	2,126
	<b>111,305</b>	<b>134,156</b>

### 12. ნასესხები სახსრები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ მიიღო მოკლევადიანი ნასესხები სახსრები ქართული ბანკებისგან ლარში, 12%-დან 13%-მდე საპროცენტო განაკვეთებით (2017 წ.: 10%-დან 13%-მდე), რომლებიც ფიქსირებულ განაკვეთსა და სებ-ის რეფინანსირების განაკვეთზეა მიბმული.

2018 წლის მდგომარეობით, 34,860 ლარის საბალანსო ღირებულების მქონე ნასესხები სახსრები (2017 წ.: 45,652) უზრუნველყოფილია მსესხებლებისგან უზრუნველყოფის სახით მიღებული ოქროთი, რომლის სამართლიანი ღირებულებაც 80,040 ლარია (2017 წ.: 63,036) და რომლის ხელახლა დაგირავების უფლებაც კომპანიას აქვს, კლიენტის დეფოლტის არარსებობის შემთხვევაში (მე-7 შენიშვნა).

კომპანიის 662 ლარის საბალანსო ღირებულების მქონე (2017 წ.: 1,874 ლარი) შენობები დაგირავებულია ქართული ბანკისგან მიღებული სესხის უზრუნველსაყოფად (მე-12 შენიშვნა).

### 13. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	2018	2017
საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა ფულადი გზავნილების საქმიანობებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	1,129	1,243
	981	216
	<b>2,110</b>	<b>1,459</b>

### 14. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ასახული კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას და ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციას. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი 1,084 ლარს (2017 წ.: 836 ლარი) შეადგენდა, 2018 წლის დეკემბერში 248 ლარის ოდენობით შენატანის განხორციელების შემდეგ.



(ათას ლარში)

#### 14. კაპიტალი (გაგრძელება)

##### დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიას შეუძლია დივიდენდების განაწილება თავისი წლიური ან ნახევარწლიური მოგებიდან.

2018 წელს კომპანიამ გამოაცხადა და სრულად გადაუხადა პარტნიორებს 415 ლარის (2017 წ.: 8,212) დივიდენდები.

#### 15. პირობითი ვალდებულებები

##### საოპერაციო გარემო

საქართველო აგრძელებს ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას და საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების მიხედვით ავითარებს სამართლებრივ, საგადასახადო და სარეგულაციო ბაზას. ქართული ეკონომიკის მომავალი მდგრადობა ბევრადაა დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის.

##### იურიდიული

ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში შესაძლებელია კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი აღიძრას. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ თუ რაიმე სარჩელის გამო კომპანიას დაეკისრება პასუხისმგებლობა, ამ პასუხისმგებლობის მთლიანი მოცულობა უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო საქმიანობის შედეგებზე.

##### პირობითი ვალდებულებები

31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პირობითი ვალდებულებები მოიცავდა შემდეგს:

	2018	2017
<b>ვალდებულებები საოპერაციო იჯარიდან</b>		
არაუგვიანეს 1 წლისა	543	351
1 წელზე გვიან, მაგრამ არაუგვიანეს 5 წლისა	1,704	810
5 წელზე გვიან	1,288	432
	<b>3,535</b>	<b>1,593</b>

(ათას ლარში)

## 16. სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს შემდეგს:

	2018	2017
იჯარა და ქირა	717	534
კავშირგაბმულობა და კომუნალური მომსახურება	695	601
სხვა	517	253
იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	297	187
სამივლინებო ხარჯი	213	175
ძირითადი საშუალებების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	209	197
დაცვა-უსაფრთხოების დანახარჯები	205	162
საოფისე აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები	161	84
საოპერაციო გადასახადები	144	146
წარმომადგენლობითი ხარჯები	120	108
ბანკის საკომისიო	68	92
სარეკლამო მომსახურების ხარჯი	41	87
	<b>3,387</b>	<b>2,626</b>

## 17. რისკის მართვა

### შესავალი

კომპანიის საქმიანობისთვის გარკვეული რისკებია დამახასიათებელი, და მათი მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასებისა და კონტროლის უწყვეტი პროცესით. რისკის მართვის ამ პროცესს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიის უწყვეტი შემოსავლიანობისათვის. ხელმძღვანელობის ზედა რგოლი პასუხს აგებს და უშუალოდაა ჩართული რისკის მართვის საქმიანობაში. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო იღებს რისკის მართვის შესაბამის გადაწყვეტილებებს (რომლებიც მოიცავს როგორც ქვემოთ აღწერილ ფინანსურ რისკებს, ისე ბიზნესრისკებს, როგორცაა გარემოს, ტექნოლოგიების და დარგის ცვლილებები) რეგულარულ შეხვედრებზე, რომლებიც მინიმუმ თვეში ორჯერ ტარდება. შემუშავების ეტაპზე რისკის მართვის ფორმალიზებული პროცესი. კომპანიას ძირითადად აქვს საკრედიტო, ლიკვიდურობის და სავალუტო რისკები. მისთვის ასევე დამახასიათებელია საოპერაციო რისკები.

### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს.

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა უდრის თავისი ფულადი სახსრების (გარდა ნაღდი ფულის ნაშთისა სალაროში) საბალანსო ღირებულებას, გაცემულ სესხებსა, დებიტორულ დავალიანებას და წარმოებულ ფინანსურ აქტივებს.

სალომბარდო სესხებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკები ძირითადად იმართება სესხების უზრუნველყოფის მოთხოვნით. გარდა ამისა, კომპანია ზღუდავს და აკონტროლებს ერთ მსესხებელზე გაცემული სალომბარდო სესხების თანხას (მაქსიმუმ 50 ათასი ლარი) და არ არსებობს ერთი მსესხებელი, რომელზეც მნიშვნელოვანი ნაშთი მოდის, სალომბარდო სესხების მთლიან ნაშთთან მიმართებაში.

(ათას ლარში)

## 17. რისკის მართვა (გაგრძელება)

### საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

იპოთეკური სესხის შემთხვევაში, სესხის მომთხოვნი პირი ჯერ ავსებს სასესხო განაცხადს, რომელსაც განიხილავს და ანალიზებს კომპანიის საკრედიტო განყოფილება. თუ განაცხადს დაამტკიცებს საკრედიტო განყოფილება, შემდეგ ტარდება გასაუბრება პირდაპირ კლიენტთან კომპანიის დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიერ. თუ კომპანიის დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დაასკვნიან, რომ აღნიშნული კლიენტის შემთხვევაში საკრედიტო რისკის მისაღები დონე არსებობს, შემდეგ ხდება დასაგირავებელი ქონების შეფასება და გაიცემა იპოთეკური სესხი, რომლის თანხაც არ აღემატება ქონების სალიკვიდაციო ღირებულების 30%-ს. ეს არის ის მიახლოებითი თანხა, რომლის მიღებაც მოსალოდნელია აქტივის დაჩქარებული წესით გაყიდვის შედეგად, ვიდრე იქნებოდა დამოუკიდებელ მყიდველზე ჩვეულებრივი გაყიდვის პირობებში.

სალომბარდო სესხის შემთხვევაში, თუ მსესხებელი 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ განახორციელებს შენატანს, კომპანია კლიენტს უგზავნის ოფიციალური გაფრთხილების წერილს და თუ მსესხებელი მაინც ვერ დაფარავს დავალიანებას 60 დღის განმავლობაში, მაშინ კომპანია ჩამოწერს სესხს და ყიდის უზრუნველყოფის საგანს.

იპოთეკური სესხების შემთხვევაში, ოფიციალური გაფრთხილების წერილი იგზავნება მაშინ, თუ მსესხებელი ვერ გადაიხდის 15 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში და წერილი ასევე ქვეყნდება გაზეთში. თუ მსესხებელი ვერ გადაიხდის დავალიანებას დროულად, კომპანიის თანამშრომელი კლიენტს უკავშირდება ტელეფონით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით და მოსთხოვს მას თანხის დაფარვას. ჩვეულებრივ, კომპანია სასამართლოს მხოლოდ მაშინ მიმართავს დაგირავებული უძრავი ქონების გაყიდვის მოთხოვნით, როდესაც სესხი 120 დღეზე მეტი ხნითაა ვადაგადაცილებული. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანია ცდილობს კლიენტთან სესხის შეცვლილ პირობებზე მოლაპარაკებას, დაგირავებული ქონების გაყიდვის თავიდან აცილების მიზნით. როგორც წესი, სასამართლო აკმაყოფილებს კომპანიის მოთხოვნას და აქტივები იყიდება კომპანიის მიმართ მსესხებლის დავალიანების დასაფარად, თუმცა ხშირად ჯარიმების დაფარვა არ ხდება. სასამართლოში საქმის წარმოებას შეიძლება დაახლოებით ერთი წელი დასჭირდეს, ხოლო აღსრულების პროცესს – კიდევ სამი თვე.

სხვა ფინანსური აქტივებისთვის, გარდა სამომხმარებლო სესხებისა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითად ფასდება, უმეტესად საკრედიტო რისკზე დაქვემდებარების მოკლე ვადის გამო.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კომპონენტების მაქსიმალურ საკრედიტო რისკს ყველაზე უკეთ ასახავს მათი საბალანსო ღირებულება. ფინანსური ინსტრუმენტების თითოეული კლასის მაქსიმალური საკრედიტო რისკის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები. უზრუნველყოფის ეფექტი და რისკის შემცირების სხვა მეთოდები მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

(ათას ლარში)

## 17. რისკის მართვა (გაგრძელება)

### საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

#### გაუფასურების შეფასება

2018 წლის 1 იანვრიდან კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს გამოითვლის ალბათობის რამდენიმე სცენარზე დაყრდნობით იმისათვის, რომ შეაფასოს ფულადი სახსრების მოსალოდნელი დეფიციტი, რომელიც დისკონტირებულია ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. ფულადი სახსრების დეფიციტი არის სხვაობა ხელშეკრულების შესაბამისად საწარმოსთვის გადასახდელ ფულად ნაკადებს და იმ ფულად ნაკადებს, რომელთა მიღებასაც საწარმო მოელის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ და მისი ძირითადი კომპონენტებია:

დეფოლტის ალბათობა (PD)	<i>დეფოლტის ალბათობა</i> არის გარკვეული დროის განმავლობაში დეფოლტის დადგომის შესაძლებლობის შეფასება. დეფოლტი შეიძლება დადგეს მხოლოდ შესაფასებელი პერიოდის გარკვეულ მომენტში, თუ ინსტრუმენტის აღიარება მანამდე არ შეწყვეტილა და ჯერ კიდევ პორტფელის ნაწილია.
დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება (EAD)	<i>დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება</i> არის დავალიანების შეფასება დეფოლტის სამომავლო თარიღისთვის, საანგარიშგებო თარიღის შემდეგ დავალიანებაში მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით, რომელთა შორისაცაა ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა, ხელშეკრულების მიხედვით ან სხვაგვარად, კრედიტების, რომელთა გაცემის ვალდებულება ნაკისრია, მოსალოდნელი ათვისება და გადაუხდელ შენატანებზე დარიცხული პროცენტი.
დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD)	<i>დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში</i> არის დროის გარკვეულ მომენტში დეფოლტის დადგომის შემთხვევაში წარმოქმნილი ზარალის შეფასება. ეყრდნობა სხვაობას გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელთა მიღებასაც კრედიტორი მოელის, მათ შორის უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის გზით. ჩვეულებრივ, გამოიხატება დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების პროცენტის სახით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება იმ საკრედიტო ზარალების საფუძველზე, რომელთა წარმოშობაც მოსალოდნელია აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში („აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საკრედიტო რისკი არ გაზრდილა აქტივის წარმოშობიდან, რა შემთხვევაშიც, რეზერვი ეყრდნობა 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, კერძოდ ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება ან ინდივიდუალურად, ან კოლექტიურად, სახაზისო ფინანსური აქტივების პორტფელის ხასიათიდან გამომდინარე.

(ათას ლარში)

## 17. რისკის მართვა (გაგრძელება)

### საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

კომპანიამ დაწერა პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის აფასებს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის თუ არა გაზრდილი ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი, რისთვისაც ითვალისწინებს დეფოლტის რისკის ცვლილებას ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში. ზემოაღნიშნულ პროცესზე დაყრდნობით, კომპანია აჯგუფებს თავის სესხებს 1-ელ, მე-2, მე-3 ეტაპებად და შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებულად, როგორც აღწერილია ქვემოთ:

პირველი ეტაპი	სესხების თავდაპირველი აღიარებისას კომპანია ქმნის რეზერვს 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით. პირველი ეტაპის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მეორე ეტაპიდან.
მეორე ეტაპი	როდესაც სესხის წარმოშობის შედეგად საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, კომპანია ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. მეორე ეტაპის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მესამე ეტაპიდან.
მესამე ეტაპი	სესხები, რომლებიც გაუფასურებულად მიიჩნევა. კომპანია ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს.
შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული	შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული აქტივები არის ისეთი ფინანსური აქტივები, რომლებიც გაუფასურებულია თავდაპირველი აღიარებისას. შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული აქტივები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას და საპროცენტო შემოსავლის აღიარება შემდეგ ხდება კრედიტის მიხედვით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ხდება მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მათში ფიქსირდება შემდგომი ცვლილება.

### დეფოლტის ალბათობის შეფასების პროცესი

დეფოლტის ალბათობა ფასდება მაკრო მოდელის გამოყენებით, რომელიც აღწერს დამოკიდებულებას დეფოლტის განვლილ ალბათობას და ისეთ მაკროეკონომიკურ ცვლად მონაცემებს შორის, როგორც არის მშპ-ს რეალური ზრდა და უნცია ოქრო/ლარის სავალუტო კურსი. დეფოლტის ალბათობის პროგნოზირება ხდება შეფასების შედეგების და სეზ-ის მიერ წარმოდგენილი საპროგნოზო მაკრო-ცვლადი მონაცემების საფუძველზე. მოდელი ყოველწლიურად გადაფასდება და გამოიყენება სხვა მაკროეკონომიკური ცვლადი მონაცემები, თუ ისინი გააუმჯობესებენ მოდელის ახსნის უნარს.

### დეფოლტირებული ოდენობა

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტების მთლიან საბალანსო ღირებულებას, გაუფასურების დაანგარიშების ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს კლიენტის უნარს გაზარდოს კრედიტის ოდენობა სანამ დეფოლტირებული გახდება და ასევე პოტენციურ ვადაზე ადრე დაფარვას. დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების დასაანგარიშებლად პირველი ეტაპის სესხისთვის, კომპანია აფასებს დეფოლტის შესაძლო მოვლენებს 12 თვის განმავლობაში, 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დასაანგარიშებლად. მე-2 და მე-3 ეტაპების და შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის, დეფოლტის შესაძლებლობა გათვალისწინდება მოვლენებზე ინსტრუმენტის არსებობის ვადის განმავლობაში.

(ათას ლარში)

## 17. რისკის მართვა (გაგრძელება)

### საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

კომპანია დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ დავალიანებას განსაზღვრავს ფინანსური აქტივის მიმდინარე დაქვემდებარებას.

#### *დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში*

დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში კვარტალში ერთხელ ფასდება. საკრედიტო რისკის შეფასება ეფუძნება დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების სტანდარტიზებული შეფასების სტრუქტურას, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების კონკრეტულ განაკვეთს. დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების ეს განაკვეთები ითვალისწინებს დეფოლტის მომენტისთვის მოსალოდნელ დაუფარავ დავალიანებას იმ თანხასთან შედარებით, რომლის აღდგენაც ან რეალიზაციაც მოსალოდნელია უზრუნველყოფის ნებისმიერი დასაკუთრებული საგნიდან.

კომპანიას ორი პორტფელური სეგმენტი აქვს – სალომბარდო და იპოთეკური სესხები. იპოთეკური სესხებისთვის, კომპანია აგროვებდა მონაცემებს ზარალის შესახებ და სტატისტიკურად ანგარიშობდა დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებს, სესხის ამოღების გამოცდილების საფუძველზე. კომპანია ითვალისწინებს ზარალის გამოცდილებას უზრუნველყოფის არმქონე კრედიტის ოდენობისთვის. სალომბარდო სესხებისთვის, დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში ფასდება საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით ფლობილი ოქროს უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულების გათვალისწინებით.

საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება დამატებითი უახლესი მონაცემები და პროგრესული ეკონომიკური სცენარები, სალომბარდო პორტფელისთვის (მაგ. ოქროს საპროგნოზო ფასები) ფასს (IFRS) 9-ის დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების განაკვეთის განსაზღვრად. საპროგნოზო ინფორმაციის შეფასებისას, მოლოდინი სხვადასხვა სცენარებს ეფუძნება.

#### *საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა*

კომპანია მუდმივად ახდენს ყველა მისი აქტივის მონიტორინგს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გათვალისწინებით. იმის განსაზღვრად, ინსტრუმენტი ან ინსტრუმენტთა პორტფელი 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ექვემდებარება, თუ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, კომპანია აფასებს ჰქონდა თუ არა ადგილი მნიშვნელოვან ზრდას საკრედიტო რისკში თავდაპირველი აღიარების შემდეგ. კომპანიის აზრით, საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად იზრდება იმ დროს, როდესაც ვადაგადაცილება 30 დღეს გადააჭარბებს.

კომპანია ასევე იყენებს მეორად თვისებრივ მეთოდს აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამოსაწვევად, როგორც არის ანგარიშის რესტრუქტურირება საკრედიტო მოვლენის გამო. სხვა ცვლილებების მიუხედავად, თუ უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება (სესხის ფარდობა უზრუნველყოფის ღირებულებასთან ერთს აღემატება), საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაზრდილად ჩაითვლება სალომბარდო პორტფელისთვის, რომელიც აჯგუფებს კოლექტიურ საფუძველზე შეფასებულ ფინანსურ აქტივებს.

კომპანია მისი სასესხო პორტფელისთვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს მხოლოდ კოლექტიურ საფუძველზე აფასებს, რადგან კომპანიის ყველა სესხი ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონედ მიიჩნევა. მსგავსი საკრედიტო რისკის პროფილის მქონე სესხების ჯგუფებს კომპანია განსაზღვრავს პროდუქტის (სალომბარდო და იპოთეკური) ვალუტის (ლარი ან უცხოური ვალუტა) და ვადაგადაცილებული დღეების საფუძველზე. საპროგნოზო ინფორმაცია და მრავლობითი ეკონომიკური სცენარები.

(ათას ლარში)

## 17. რისკის მართვა (გაგრძელება)

### საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

თავისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებისას კომპანია ამოსავალ ეკონომიკურ მონაცემებად იყენებს ისეთ ფართო სპექტრის საპროგნოზო ინფორმაციას, როგორც არის:

- ▶ მშპ-ის ზრდა;
- ▶ სავალუტო რისკები;
- ▶ ოქროს ღირებულება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებაში გამოყენებული ამოსავალი მონაცემები და მოდელები, ყოველთვის არ მოიცავს ბაზრის ყველა მახასიათებელს, ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღში.

ბანკი სებ-სგან იღებს საპროგნოზო ინფორმაციას, ოქროს ფასების გარდა. ოქროს საპროგნოზო ფასები განისაზღვრება საზოგადოდ ხელმისაწვდომი პროგნოზის და ოქროს ფასების ცვალებადობის გამოცდილების საფუძველზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია საპროგნოზო ეკონომიკური ცვლადი მონაცემები/დაშვებები, რომლებიც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თითოეულ ეკონომიკურ სცენარში გამოიყენება. „შემდგომი წლების“ რიცხვები წარმოადგენს გრძელვადიან საშუალო მაჩვენებელს და, შესაბამისად, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ განსხვავდება თითოეული სცენარისთვის.

მნიშვნელოვანი დრავირები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სცენარი		2019	2020	2021
	განსაზღვრული ალბათობები, %				
<b>მშპ-ის ზრდა, %</b>					
	ზევით	25%	6%	5.5%	5%
	საბაზისო				
	შემთხვევა	50%	5%	5%	5%
	ქვევით	25%	2.5%	2.5%	3.5%
<b>აშშ დოლარი/ლარის სავალუტო კურსის ცვლილება</b>					
	ზევით	25%	-15%	-10%	5%
	საბაზისო				
	შემთხვევა	50%	0%	0%	0%
	ქვევით	25%	10%	5%	-5%
<b>ოქროს (ერთი უნცია) ფასი, აშშ ერთი ტროიანული უნცია</b>					
	ზევით	25%	-2%	0%	-3%
	საბაზისო				
	შემთხვევა	50%	2%	3%	1%
	ქვევით	25%	5%	7%	4%

(ათას ლარში)

17. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია სამომხმარებლო სესხების საკრედიტო ხარისხი.

2018 წლის 31 დეკემბერი	შენიშვნა	ეტაპი	0-დან 30 დღემდე ვადაგადაცილება	30-დან 60 დღემდე ვადაგადაცილება	60-დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	სულ
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გარდა ნაღდი ფულის ნაშთისა სალაროში მომხმარებლებზე გაცემული სესხები</b>							
	5	პირველი ეტაპი	28,343	-	-	-	28,343
	7		212,063	1,353	1,141	3,074	217,631
<b>- სალომბარდო სესხები</b>							
		პირველი ეტაპი	168,313	-	-	-	168,313
		მეორე ეტაპი	77	1,283	13	-	1,373
		მესამე ეტაპი	50	-	1,128	477	1,655
			168,440	1,283	1,141	477	171,341
<b>- იპოთეკური სესხები</b>							
		პირველი ეტაპი	43,554	-	-	-	43,554
		მეორე ეტაპი	69	70	-	-	139
		მესამე ეტაპი	-	-	-	2,597	2,597
			43,623	70	-	2,597	46,290
<b>სულ</b>			<b>240,406</b>	<b>1,353</b>	<b>1,141</b>	<b>3,074</b>	<b>245,974</b>

2017 წლის 31 დეკემბერი	შენიშვნები	არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული მალალი შეფასება	არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული შეფასების გარეშე	ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული	სულ
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გარდა ნაღდი ფულის ნაშთისა სალაროში მომხმარებლებზე გაცემული სესხები</b>					
	5	42,063	-	-	42,063
	7	-	196,543	7,424	203,967
<b>სალომბარდო სესხები</b>					
		-	141,530	5,112	146,642
<b>იპოთეკური სესხები</b>					
		-	55,013	2,312	57,325

კომპანიას არ აქვს საკრედიტო რეიტინგის შიდა სისტემა, რომ შეაფასოს კლიენტებზე გაცემული არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული იპოთეკური სესხების საკრედიტო ხარისხი, და ის საკრედიტო რისკს მართავს ვადაგადაცილებული დღეების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე.

სალომბარდო პორტფელისთვის, კომპანია საკრედიტო ხარისხს აფასებს უზრუნველყოფის ღირებულებასთან სესხის ფარდობის კოეფიციენტის საფუძველზე:

	0-0.3	0.03-0.5	0.5-0.7	0.7-0.9	0.9-1	>1	სულ
პირველი ეტაპი	1,428	3,733	11,354	60,631	73,769	17,398	168,313
მეორე ეტაპი	2	6	24	236	753	352	1,373
მესამე ეტაპი	4	3	17	118	808	705	1,655
<b>სულ</b>	<b>1,434</b>	<b>3,742</b>	<b>11,395</b>	<b>60,985</b>	<b>75,330</b>	<b>18,455</b>	<b>171,341</b>



(ათას ლარში)

## 17. რისკის მართვა (გაგრძელება)

### საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ვადაგადაცილებული სამომხმარებლო სესხები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს სესხებს, რომლებიც მხოლოდ რამდენიმე დღიანი ვადაგადაცილება აქვთ. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ვადაგადაცილებული სესხების ანალიზს ხანდაზმულობის მიხედვით.

*ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული სესხების ხანდაზმულობის ანალიზი ფინანსური აქტივების ტიპების მიხედვით შემდეგია*

2017 წლის 31 დეკემბერი	3 თვეზე ნაკლები ნაკლები	31 დღიდან 60 დღემდე	61 დღიდან 90 დღემდე	90 დღეზე მეტი	სულ
<b>მომხმარებლებზე გაცემული სესხები</b>					
სალომბარდო სესხები	2,494	1,242	810	566	5,112
იპოთეკური სესხები	335	86	41	1,850	2,312
<b>სულ</b>	<b>2,829</b>	<b>1,328</b>	<b>851</b>	<b>2,416</b>	<b>7,424</b>

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ მე-7 შენიშვნა.

### ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ შეიძლება ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ამ რისკის შეზღუდვის მიზნით, ხელმძღვანელობა მარტივი თამასუქებით წარმოდგენილი ფინანსური რესურსების ბაზის გარდა იყენებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებს, მართავს აქტივებს ლიკვიდურობის მიხედვით და ყოველდღიურ ზედამხედველობას უწევს მომავალ ფულად ნაკადებს და ლიკვიდურობას. აღნიშნულ პროცედურებთან ერთად, ფასდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადები და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებელია საჭიროებისამებრ გამოყენებულ იქნას დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფისთვის.

(ათას ლარში)

## 17. რისკის მართვა (გაგრძელება)

### ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)

*ფინანსური ვალდებულებების ანალიზი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით*

ცხრილში ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელშეკრულებო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებებზე დაყრდნობით. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, აღრიცხულია იმგვარად, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა. ამის მიუხედავად, კომპანია მოელის, რომ შეძლებს დაფარვების რეფინანსირებას ან გადავადებას უადრესი თარიღით, როდესაც შეიძლება კომპანიას გადახდა მოეთხოვოს და ცხრილი არ ასახავს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, რომლებიც მითითებულია კომპანიის მარტივი თამასუქების რეფინანსირების ისტორიაში.

2018 წლის 31 დეკემბერი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ნასესხები სახსრები	559	1,048	20,897	16,839	39,343
მარტივი თამასუქები	39,120	19,533	55,668	-	114,321
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	70,158	-	-	-	70,158
სხვა ფინანსური ვალდებულებები	981	-	-	-	981
<b>სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>110,818</b>	<b>20,581</b>	<b>76,565</b>	<b>16,839</b>	<b>224,803</b>

2017 წლის 31 დეკემბერი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ნასესხები სახსრები	546	932	21,438	32,565	55,481
მარტივი თამასუქები	45,335	25,379	67,245	305	138,264
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	100,608	-	-	-	100,608
სხვა ფინანსური ვალდებულებები	216	-	-	-	216
<b>სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>146,705</b>	<b>26,311</b>	<b>88,683</b>	<b>32,870</b>	<b>294,569</b>

### საბაზრო რისკი

#### სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში გამოხატული აქტივებისა და ვალდებულებების გამო არსებობს სავალუტო რისკი. სავალუტო რისკს ხელმძღვანელობა აკონტროლებს სესხების გაცემით და დაფინანსების მიღებით ერთსა და იმავე ვალუტებში.

ქვემოთ ცხრილებში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებით, განაწილებული ვალუტების მიხედვით (მოცემულია ეკვივალენტური თანხებით ლარში).

(ათას ლარში)

## 17. რისკის მართვა (გაგრძელება)

### საბაზრო რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურა სავალუტო რისკთან მიმართებაში:

2018 წლის 31 დეკემბერი	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	რუსული რუბლი	სხვა	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12,059	5,862	28,671	3,134	749	50,475
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	140,611	73,936	944	-	-	215,491
სხვა ფინანსური აქტივები	657	1,678	6,380	634	-	9,349
<b>სულ</b>	<b>153,327</b>	<b>81,476</b>	<b>35,995</b>	<b>3,768</b>	<b>749</b>	<b>275,315</b>
გამოშვებული მარტივი თამასუქები	(8,606)	(101,060)	(1,639)	-	-	(111,305)
ნასესხები სახსრები	(34,860)	-	-	-	-	(34,860)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	(981)	-	-	(981)
<b>სულ</b>	<b>(43,466)</b>	<b>(101,060)</b>	<b>(2,620)</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>(147,146)</b>
რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ეფექტი	(70,158)	70,173	-	-	-	15
<b>წმინდა პოზიცია რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგ</b>	<b>39,703</b>	<b>50,589</b>	<b>33,375</b>	<b>3,768</b>	<b>749</b>	<b>128,184</b>

2017 წლის 31 დეკემბერი	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	რუსული რუბლი	სხვა	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	31,693	33,197	6,028	3,564	487	74,969
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	95,303	104,483	1,568	-	-	201,354
სხვა ფინანსური აქტივები	106	4,343	4,907	568	-	9,924
<b>სულ</b>	<b>127,102</b>	<b>142,023</b>	<b>12,503</b>	<b>4,132</b>	<b>487</b>	<b>286,247</b>
გამოშვებული მარტივი თამასუქები	(7,156)	(124,874)	(2,126)	-	-	(134,156)
ნასესხები სახსრები	(45,652)	-	-	-	-	(45,652)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(14)	(8)	(191)	(3)	-	(216)
<b>სულ</b>	<b>(52,822)</b>	<b>(124,882)</b>	<b>(2,317)</b>	<b>(3)</b>	<b>-</b>	<b>(180,024)</b>
რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ეფექტი	(100,608)	100,034	-	-	-	(574)
<b>წმინდა პოზიცია რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგ</b>	<b>(26,328)</b>	<b>117,175</b>	<b>10,186</b>	<b>4,129</b>	<b>487</b>	<b>105,649</b>

(ათას ლარში)

## 17. რისკის მართვა (გაგრძელება)

### სავალუტო კურსის მგრძობელობის ანალიზი

აშშ დოლართან, ევროსთან და რუსულ რუბლთან მიმართებაში ლარის გაუფასურება 2018 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგების ან ზარალის ქვემოთ წარმოდგენილ თანხებს შემდეგნაირად გაზრდიდა (შემცირებდა): ანალიზი წარმოდგენილია წინა საგადასახადო საფუძვლის გათვალისწინებით და ეყრდნობა სავალუტო კურსების მერყეობას, რომელიც კომპანიის აზრით მოსალოდნელი იყო ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. ანალიზი ეფუძნება დაშვებას, რომ ყველა დანარჩენი ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები მუდმივი რჩება.

ვალუტა	2018		2017	
	სავალუტო კურსის ცვლილება, %	გავლენა მოგებაზე	სავალუტო კურსის ცვლილება, %	გავლენა მოგებაზე
აშშ დოლარი	13.5%/(9.5%)	2,247/(1,581)	13.5%/(9.5%)	15,819/(11,132)
ევრო	16%/(12%)	1,665/(1,249)	16%/(12%)	1,630/(1,222)
რუსული რუბლი	17%/(17%)	702/(702)	17%/(17%)	702/(702)

### საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება შესაძლებლობიდან, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები გავლენას იქონიებს ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მომავალ დინამიკაზე.

მოგება-ზარალის ანგარიშგების მგრძობელობა არის საპროცენტო ხარჯზე ერთი წლის მანძილზე საპროცენტო განაკვეთის ნაგარაუდები ცვლილების ეფექტი სებ-ის რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული ფინანსური ვალდებულებების ცვალებად განაკვეთზე 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ვალდებულებები, რომლებსაც აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის რისკი 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2018	2017
ნასესხები სახსრები	25,313	45,652

### საპროცენტო განაკვეთის მგრძობელობის ანალიზი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია კომპანიის მოგება-ზარალის და კაპიტალის ანგარიშგების (გადასახადით დაბეგრამდე) მგრძობელობა ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიმართ, როდესაც ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია.

სებ-ის რეფინანსირების განაკვეთის ცვლილება, საბაზისო პუნქტები	2018		2017	
	ეფექტი მოგებასა და კაპიტალზე გადასახადით დაბეგრამდე	სებ-ის რეფინანსირების განაკვეთის ცვლილება, საბაზისო პუნქტები	ეფექტი მოგებასა და კაპიტალზე გადასახადით დაბეგრამდე	სებ-ის რეფინანსირების განაკვეთის ცვლილება, საბაზისო პუნქტები
56/(56)	180/(180)	100/(100)	324/(324)	

(ათას ლარში)

## 17. რისკის მართვა (გაგრძელება)

### საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. კომპანია საოპერაციო რისკს ძირითადად ამცირებს იმით, რომ ხელმძღვანელობის ზედა რგოლი უშუალოდაა ჩართული კომპანიის პროცესებსა და ოპერაციებში, შეფასების, ავტორიზაციისა და შეჯერების პროცედურების ჩათვლით.

## 18. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ქვემოთ ცხრილში მოცემულია აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი ამოღება ან დაფარვა. კომპანიის სახელმწიფოებო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებები იხილეთ მე-17 შენიშვნაში – „რისკის მართვა“.

	2018			2017		
	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	50,475	–	50,475	74,969	–	74,969
წარმოებული ფინანსური აქტივები	242	–	242	585	–	585
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	174,768	40,723	215,491	181,901	19,453	201,354
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი	647	–	647	715	–	715
ძირითადი საშუალებები	–	11,807	11,807	–	11,020	11,020
არამატერიალური აქტივები	–	43	43	–	66	66
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	–	172	172	–	782	782
სხვა აქტივები	19,020	–	19,020	13,454	–	13,454
<b>სულ</b>	<b>245,152</b>	<b>52,745</b>	<b>297,897</b>	<b>271,624</b>	<b>31,321</b>	<b>302,945</b>
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	226	–	226	701	–	701
გამოშვებული მარტივი თამასუქები	111,305	–	111,305	133,876	280	134,156
ნასესხები სახსრები	19,073	15,787	34,860	17,737	27,915	45,652
სხვა ვალდებულებები	2,110	–	2,110	1,459	–	1,459
<b>სულ</b>	<b>132,714</b>	<b>15,787</b>	<b>148,501</b>	<b>153,773</b>	<b>28,195</b>	<b>181,968</b>
<b>წმინდა</b>	<b>112,438</b>	<b>36,958</b>	<b>149,396</b>	<b>117,851</b>	<b>3,126</b>	<b>120,977</b>

ზემოთ წარმოდგენილი ცხრილი არ ასახავს კლიენტებზე გაცემული სესხების ისტორიულ ტენდენციებს და გამოშვებული მარტივი თამასუქების ვადის გაგრძელებას, რესტრუქტურისა და რეფინანსირებას.

(ათას ლარში)

## 19. სამართლიანი ღირებულების შეფასება

### სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცედურა

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ფასის განსაზღვრა, რომელიც მიიღება აქტივის გასაყიდად ან ვალდებულების გადაცემის ასანაზღაურებლად ბაზრის მონაწილეებს შორის სტანდარტულ ოპერაციაში შეფასების თარიღისთვის. მაგრამ განუსაზღვრელობებისა და სუბიექტური მოსაზრების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული ისე, რომ მისი რეალიზება შესაძლებელია აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვით ან ვალდებულებების გადაცემით.

კომპანიის ფინანსური განყოფილება განსაზღვრავს კომპანიის აქტივების, მათ შორის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების, სამართლიანი ღირებულების შეფასების პოლიტიკას და პროცედურებს ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება იანგარიშება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით, რომელიც ეყრდნობა ანალოგიურ ინსტრუმენტებზე მომავალში მოსალოდნელ ფულად ნაკადებს და დისკონტირების განაკვეთებს საანგარიშგებო თარიღისთვის.

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ აქვს ფინანსური ინსტრუმენტები, სამომხმარებლო სესხების გამოკლებით, რომელთა სამართლიანი ღირებულებაც განისაზღვრება შეფასების ისეთი მეთოდებით, რომლებიც იყენებს მნიშვნელოვან არასაბაზრო დაკვირვებად მონაცემებს.

### სამართლიანი ღირებულების იერარქია

კომპანია სამართლიან ღირებულებებს აფასებს სამართლიანი ღირებულების შემდეგი იერარქიით, რომელიც ასახავს შეფასებებში გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

- ▶ 1-ლი დონე: ანალოგიური ინსტრუმენტის კოტირებული საბაზრო ფასი (არაკორექტირებული) აქტიურ ბაზარზე.
- ▶ მე-2 დონე: პირველ დონეში შესული კოტირებული ფასების გარდა სხვა პირდაპირ (ანუ ფასების სახით) ან არაპირდაპირ (ანუ ფასებიდან მიღებული) დაკვირვებადი მონაცემები. ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული საბაზრო ფასები აქტიურ ბაზარებზე; მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული ფასები ისეთ ბაზარებზე, რომლებიც ნაკლებად აქტიურად ითვლება; ან სხვა შეფასების მეთოდები, რა შემთხვევაშიც, შეფასებაში მონაწილე ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი პირდაპირ ან არაპირდაპირ არის ბაზრიდან მოპოვებადი.
- ▶ მე-3 დონე: არადაკვირვებადი (არასაბაზრო) მონაცემები ეს კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომელთა შეფასების მეთოდიც ეყრდნობა ისეთ ინფორმაციას, რომელიც არ შეიცავს დაკვირვებად (საბაზრო) მონაცემებს და არადაკვირვებადი (არასაბაზრო) მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინსტრუმენტის შეფასებაზე. ამ კატეგორიაში შედის ინსტრუმენტები, რომლებიც ფასდება მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული ფასების საფუძველზე, რა შემთხვევაშიც მნიშვნელოვანი არასაბაზრო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო ამ ინსტრუმენტებს შორის განსხვავებების ასახვისთვის.

(ათას ლარში)

**19. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)**

**სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)**

ქვემოთ ცხრილში გაანალიზებულია ძირითადი საშუალებების და ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დონეების მიხედვით, რომლებზეც განაწილებულია სამართლიანი ღირებულების შეფასება. რიცხობრივი მონაცემები ეყრდნობა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებს:

	სამართლიანი ღირებულების შეფასება:		
	აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (1-ლი დონე)	მნიშვნელოვანი საბაზრო მონაცემები (მე-2 დონე)	მნიშვნელოვანი არასაბაზრო მონაცემები (მე-3 დონე)

**2018 წლის 31 დეკემბერს**

**სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები**

**და ვალდებულებები**

წარმოებული ფინანსური აქტივები	–	242	–
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	–	226	–

**აქტივები და ვალდებულებები, რომელთა სამართლიან  
ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია  
წარმოდგენილი**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	22,131	28,344	–
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	–	–	215,246
სხვა ფინანსური აქტივები	–	9,350	–
გამოშვებული მარტივი თამასუქები	–	111,388	–
ნასესხები სახსრები	–	34,766	–
სხვა ფინანსური ვალდებულებები	–	981	–

	სამართლიანი ღირებულების შეფასება:		
	აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (1-ლი დონე)	მნიშვნელოვანი საბაზრო მონაცემები (მე-2 დონე)	მნიშვნელოვანი არასაბაზრო მონაცემები (მე-3 დონე)

**2017 წლის 31 დეკემბერს**

**სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები**

**და ვალდებულებები**

წარმოებული ფინანსური აქტივები	–	585	–
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	–	701	–

**აქტივები და ვალდებულებები, რომელთა სამართლიან  
ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია  
წარმოდგენილი**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	32,906	42,063	–
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	–	–	201,200
სხვა ფინანსური აქტივები	–	9,924	–
გამოშვებული მარტივი თამასუქები	–	134,988	–
ნასესხები სახსრები	–	45,652	–
სხვა ფინანსური ვალდებულებები	–	216	–

(ათას ლარში)

**19. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)**

**ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით**

წინამდებარე ცხრილში მოცემულია კომპანიის იმ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებისა და სამართლიანი ღირებულებების შედარება კატეგორიების მიხედვით, რომლებიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ცხრილი არ მოიცავს არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებს.

	2018			2017		
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	აუღიარებელი ზარალი	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	აუღიარებელი მოგება/(ზარალი)
<b>ფინანსური აქტივები</b>						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	50,475	50,475	-	74,969	74,969	-
მომხმარებელზე გაცემული სესხები	215,491	215,246	(245)	201,354	201,200	(154)
სხვა ფინანსური აქტივები	9,350	9,350	-	9,924	9,924	-
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>						
გამოშვებული მარტივი თამასუქები	111,399	111,388	(11)	134,156	134,988	(832)
ნასესხები სახსრები	34,766	34,766	-	45,652	45,652	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	981	981	-	216	216	-
<b>სამართლიანი ღირებულების მთლიანი აუღიარებელი ცვლილება</b>			<b>(256)</b>			<b>(986)</b>

**შეფასების მეთოდები და დაშვებები**

ქვემოთ მოცემულია მეთოდოლოგია და დაშვებები იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებიც არ არის აღირიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით.

*აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას*

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), ასევე მცურავი განაკვეთის მქონე აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

*ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები*

კლიენტებზე გაცემული სესხების, გამოშვებული მარტივი თამასუქების და ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და დარჩენილი ვადის მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.



(ათას ლარში)

## 20. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებების მიმდინარე ნაშთები ასეთია:

	2018			2017		
	პარტნიორი	უმალესი რანგის ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები	პარტნიორი	უმალესი რანგის ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
<b>1 იანვრის მდგომარეობით დასაფარო საერთო სესხი</b>	–	52	129	–	53	151
წლის განმავლობაში გაცემული სესხები	–	12	–	–	8	–
სესხის დაფარვა წლის განმავლობაში	–	(48)	(16)	–	(7)	(18)
სხვა მოძრაობა	–	41	4	–	(2)	(3)
<b>31 დეკემბრის მდგომარეობით დასაფარო საერთო სესხი</b>	–	57	117	–	52	130
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	–	–	–	(1)	(2)
<b>31 დეკემბრის მდგომარეობით დასაფარო სესხი, წმინდა</b>	–	57	117	–	51	128
<b>მარტივი თამასუქები</b>						
<b>1 იანვრის მდგომარეობით</b>	233	327	414	–	402	424
წლის განმავლობაში გამოშვებული მარტივი თამასუქები	688	4,246	602	219	1,317	725
წლის განმავლობაში დაფარული მარტივი თამასუქები	(233)	(327)	(414)	–	(1,384)	(731)
სხვა მოძრაობა	10	1	–	14	(8)	(4)
<b>ანაზრები 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	698	4,247	602	233	327	414

(ათას ლარში)

## 20. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

სხვა დაკავშირებული მხარეები ძირითადად წარმოდგენილია ხელმძღვანელობის ზედა რგოლის და პარტნიორის ოჯახის წევრებით.

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებების შედეგად მიღებული შემოსავალი და ხარჯი:

	31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის					
	2018			2017		
	პარტნიორი	უმადლესი რანგის ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები	პარტნიორი	უმადლესი რანგის ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
საპროცენტო შემოსავალი სესხებზე	-	4	7	-	4	8
მარტივი თამასუქების საპროცენტო ხარჯი	(22)	(215)	(35)	(13)	(22)	(34)
საიჯარო ხარჯი	(96)	-	(43)	(96)	(12)	(36)

უმადლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება ასე გამოიყურება:

	2018	2017
ხელფასები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი	1,030	1,008

## 21. კაპიტალის ადეკვატურობა

კომპანია ინარჩუნებს და აქტიურად განაგებს კაპიტალის ბაზას ბიზნესთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით. კომპანიის კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმება ხდება სხვადასხვა კრიტერიუმით, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით.

გასული წლის განმავლობაში კომპანია სრულად აკმაყოფილებდა კაპიტალის სავალდებულო მოთხოვნებს.

კომპანიის კაპიტალის მართვის მთავარი ამოცანებია იმის უზრუნველყოფა, რომ კომპანია აკმაყოფილებდეს კაპიტალის სავალდებულო მოთხოვნებს და ინარჩუნებდეს კაპიტალის ჯანსაღ კოეფიციენტებს იმისთვის, რომ განამტკიცოს თავისი საქმიანობა და მაქსიმალურად გაზარდოს პარტნიორისთვის შექმნილი ღირებულება.

### სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი

სებ-ი კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტებისგან მოითხოვს საკუთარი კაპიტალის აქტივებთან თანაფარდობის 20%-იანი კოეფიციენტის შენარჩუნებას. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისთვის კომპანიის აღნიშნული კოეფიციენტი ასე გამოიყურებოდა:

	2018	2017
კაპიტალი	149,396	120,748
აქტივები	297,897	302,998
საკუთარი კაპიტალის აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი 31 დეკემბრის მდგომარეობით	50%	40%

(ათას ლარში)

**22. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან და სხვა არაფულადი მოძრაობებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში**

	გამოშვებული მარტივი თამასუქები*	ნასესხები სახსრები	სულ ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ვალდებულებები
<b>საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრისთვის</b>	<b>187,232</b>	<b>34,609</b>	<b>221,841</b>
გაცემულ სესხზე მიღებული შემოსავალი	-	37,587	37,587
ძირითადი თანხისა დაფარვა	(48,323)	(26,621)	(74,944)
ცვლილება დარიცხულ პროცენტში	(225)	77	(148)
უცხოური ვალუტის კონვერტაცია	(4,528)	-	(4,528)
<b>საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის</b>	<b>134,156</b>	<b>45,652</b>	<b>179,808</b>
გაცემულ სესხზე მიღებული შემოსავალი	-	16,826	16,826
ძირითადი თანხისა დაფარვა	(25,801)	(27,336)	(53,137)
ცვლილება დარიცხულ პროცენტში	(454)	(282)	(736)
უცხოური ვალუტის კონვერტაცია	3,404	-	3,404
<b>საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>111,305</b>	<b>34,860</b>	<b>146,165</b>

\* ამონაგები მარტივი თამასუქის ძირითადი თანხის გაცემიდან და გადახდიდან წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე, რადგან ისინი სწრაფად ბრუნავენ, თანხები მსხვილია, ხოლო დაფარვის ვადები – მოკლე.

სხვა არსებითი არაფულადი მოძრაობები უმეტესად წარმოადგენს დეფოლტირებული სამომხმარებლო სესხების უზრუნველყოფის სახით 15,576 ლარის ოდენობით დაგირავებული ოქროს დასაკუთრებას 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (2017 წ.: 10,816 ლარი).

## მმართველობის ანგარიშგება

### საქმიანობის მიმოხილვა

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "რიკო ექსპრესი" თითქმის ორი ათწლეულია წარმატებით მოღვაწეობს საქართველოს ფინანსურ ბაზარზე. ორგანიზაციამ აქტიური საქმიანობა ჯერ კიდევ 1997 წელს დაიწყო, როგორც საფინანსო ორგანიზაციამ - «რიკო კრედიტი» და დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად ზრდადი, განვითარებაზე ორიენტირებული კომპანია ფინანსურ სექტორში.

1997 წელს ორგანიზაცია „რიკო კრედიტი“ ერთ-ერთი პირველი ორგანიზაცია იყო საქართველოში, რომელიც ფულადი გზავნილების უმსხვილესი ორგანიზაცია "მანიგრამის" პარტნიორი გახდა საქართველოში. მოგვიანებით კი „რიკო კრედიტის“ პარტნიორ ორგანიზაციათა რიგს შეემატა „ვესტერნ უნიონი“ (Western Union), „იუნისტრიმი“ და სხვა მრავალი.

2007 წლის აპრილის თვიდან საქართველოს ეროვნულ ბანკში დარეგისტრირდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციად - «რიკო ექსპრესი». 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ერთპიროვნული მფლობელია ქალბატონი დალი ურუშაძე.

დღესდღეობით მომხმარებლებს საშუალება ეძლევათ უკვე 17 პარტნიორი ორგანიზაციის მეშვეობით განახორციელონ ყველაზე მოქნილი და დაბალპროცენტიანი სერვისი ფულადი გზავნილების მიმართულებით. „რიკო ექსპრესი“ თითოეული ფინანსური ორგანიზაციის პირდაპირი პარტნიორია საქართველოში, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს ულიმიტოდ მიიღოს ან გააგზავნოს ფული მსოფლიოს ნებისმიერი მიმართულებით, დროის ნებისმიერ მონაკვეთში.

კომპანია მომხმარებელს სთავაზობს ფულად გზავნილებს: „რიკო-გრამ საქართველო“, „რიკო-გრამ საბერძნეთი“, „რიკოგრამ ისრაელი“, „რიკოგრამ Small World“, „რიკოგრამ I-transfers“, რიკოგრამ Titanes“.

"რიკო-გრამ საქართველო" არის ფულადი გზავნილი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ფულადი გზავნილების მიღება და გაგზავნა საქართველოს მასშტაბით, რიკო ექსპრესის ნებისმიერ ფილიალში. თანხის გაგზავნის საკომისიო შეადგენს 0.5%-ს, მინიმალური 1 ლარი/ევრო/დოლარი.

2012 წლის მაისიდან „რიკო ექსპრესმა“ სისტემაში დანერგა ახალი სერვისი ფულადი გზავნილების მიმართულებით "რიკო-გრამ საბერძნეთი", რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ფულადი გზავნილების მიღება და გაგზავნა საბერძნეთში. საქართველოდან საბერძნეთის მიმართულებით თანხის გაგზავნის საკომისიო შეადგენს 1%-ს, ხოლო საბერძნეთიდან საქართველოში თანხის გამოგზავნის საკომისიო თანხისა და პუნქტის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე შეადგენს 1%-დან 2.5%-მდე.

ასევე, საბერძნეთში ფულადი გზავნილების გაგზავნა/მიღება შესაძლებელია «რიკოგრამ Small World-ის საშუალებით რომლის საკომისიო შეადგენს: 0-დან 100 ევრომდე – 1 ევრო; 100 ევროდან 400 ევრომდე – 1 %; 400 ევროდან – 0.8 %;

„რიკოგრამ ისრაელი“-ფულადი გზავნილების მიღება-გაგზავნა ისრაელიდან, ყველაზე დაბალ 1,2%-ად, ისრაელიდან თანხის გამოგზავნა შესაძლებელია 250-ზე მეტი სერვის-ცენტრიდან.

«რიკოგრამ I-transfers» და «რიკოგრამ Titanes» წარმოადგენენ ფულადი გზავნილის სისტემებს, რომლის საშუალებით შესაძლებელია გზავნილების მიღება იტალიიდან, გერმანიიდან და ესპანეთიდან. საკომისიო საპროცენტო განაკვეთი შეადგენს თანხის 1.1%-ს.

ასევე 2008 წელს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესმა“ ბაზარს იმ დროისთვის ერთ-ერთი ყველაზე ინოვაციური და უნიკალური პროდუქტი „ოქროს თამასუქი“ შესთავაზა. „ოქროს თამასუქი“ ეს გახლავთ ფასიანი ქაღალდი, რომლის შექმნაც შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს „რიკო კრედიტში“ თანხის დაბანდებით. ეროვნულ ვალუტაში ოქროს თამასუქის გახსნა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თამასუქზე შემოსატანი თანხა აღემატება 100 000 ლარის ეკვივალენტს აშშ დოლარში/ევროში. თამასუქის გახსნა ასევე შესაძლებელია თუ უკვე არსებული თამასუქის თანხები და შემოსატანი თანხების ჯამი აღემატება 100 000 ლარის ეკვივალენტს.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესი“ მომხმარებლებს სთავაზობს იპოთეკურ სესხებს, რომელიც მომხმარებლის ინდივიდუალურ მოთხოვნასა და შემოსავალზეა მორგებული. სესხით სარგებლობის პირობებიდან გამომდინარე, საგარანტიო ქონება შეიძლება იყოს: თბილისში, რუსთავეში, მარნეულში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, ხაშურში, სამტრედიისში, თელავში, წყალტუბოში, ფოთსა და მცხეთის ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონება. კერძოდ: ბინა, საკუთარი სახლი, კომერციული ან არაკომერციული ფართი, აგარაკი. "რიკო ექსპრესი" გასცემს ბიზნეს და სამომხმარებლო სესხებს უძრავი ქონების გარანტიით.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო კრედიტი“ მომხმარებლებს სთავაზობს სხვადასხვა ტიპის სალომბარდო სესხით სარგებლობას: ოქროს, ვერცხლის და ძვირფასი თვლების გარანტიით,

ყოველგვარი საკომისიოს გარეშე; ექსპრეს და სტანდარტულ სესხებს როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში. ნებისმიერი ტიპის სესხი, რომელსაც „რიკო კრედიტი“ გასცემს, ინდივიდუალურად მომხმარებლის კონკრეტულ თვიურ შემოსავალზეა მორგებული და მხოლოდ ამ პირობებიდან გამომდინარე განისაზღვრება კონკრეტული სესხის რაოდენობა და ტიპი, რათა ზუსტად იყოს განსაზღვრული სესხის ეფექტურობა, მომხმარებლის უფლებები და პირობები კი - დაცული.

### **მიკროსაფინანსოს ძირითადი მაჩვენებლების მიმოხილვა**

რიკო ექსპრესი აქტივების სიდიდით ერთ-ერთ მოწინავე პოზიციას იკავებს საქართველოს ბაზარზე არსებულ ფინანსურ ინსტიტუტებს შორის. კომპანიის 2018 წლის წმინდა მოგება შეადგინა 28,586 ათასი ლარი, რაც 2017 წლის მაჩვენებელს 1,65%-ით აღემატება. მთლიანი აქტივები 2018 წელს 1,67%-ით შემცირდა (302,945 ათასიდან 297,897 ათასამდე), რაც ძირითადად გამოწვეულია ფულადი სახსრების 32,67%-ით შემცირებით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი ვალდებულებები 18,39%-ით 148,501 ათას ლარამდე შემცირდა. შემცირება უმეტესად უკავშირდებოდა ფინანსური ინსტიტუტებისგან ნასესხები სახსრების 23,64%-ით (45,652 ათასი ლარიდან 34,860 ათას ლარამდე) და ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე 2018 წლის განმავლობაში გაცემული თამასუქების 17,03%-ით (134,156 ათასი ლარიდან 111,305 ათას ლარამდე) შემცირებას. სავალო ფასიანი ქაღალდებიდან მოზიდული სახსრების შემცირება ახალმა რეგულაციამ გამოიწვია, რომელშიც განსაზღვრულია 1 ადამიანის მიმართ ვალდებულების რაოდენობის ზღვარი - 100,000 ლარის ოდენობით. შესაბამისად, 2018 წელს ფიზიკურ პირზე 100,000 ლარზე ნაკლები სავალო ფასიანი ქაღალდების მიყიდვა არ შეიძლება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიის მიერ გამომუშავებული მოგების უდიდესი ნაწილი მთლიან კაპიტალში რჩება, ხოლო დივიდენდის სახით უმნიშვნელო თანხა გაიცემა, რაც კომპანიის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. კომპანიის მთლიანი კაპიტალი 28,419 ათასი ლარით (23,49%) გაიზარდა, 2017 წელთან შედარებით და 149,396 ათასი ლარი შეადგინა.

**ძირითადი ფინანსური ინფორმაცია**

ათასი ლარი თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	დასრულებული წლისათვის (ათასი ლარი)		
	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	ცვლილება
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	41 292	40 872	420
წლის მოგება	28 586	29 066	(480)
მთლიანი აქტივები	297 897	302 945	(5048)
კლიენტებზე გაცემული სესხები	215 491	201 354	14 137
მთლიანი ვალდებულებები	148 501	181 968	(33 467)
მთლიანი კაპიტალი	149 396	120 977	28 419

კომპანიაში დიდი ყურადღება ექცევა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტის დონეს, რომელიც 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დადგენილ 30%-ან ზღვარს ქვევით არ ჩამოსულა.

**ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ**

კომპანია მთელი საქართველოს მასშტაბით წარმოდგენილია 33 ფილიალით. კომპანიის პროდუქტებით, როგორცაა: იპოთეკური და ლომბარდული სესხი, ფასიანი ქაღალდები, საკონვერტაციო ოპერაციები და ფულადი გზავნილები, 700 000-ზე მეტი მომხმარებელი სარგებლობს, 2018 წლის მონაცემებით. მათი რიცხვი კიდევ უფრო მატულობს წლიდან წლამდე.

2018 წლის მდგომარეობით კომპანიაში ფუნქციონირებდა შემდეგი ფილიალები:

1	ცენტრალური ფილიალი	თბილისი	ი.ჭავჭავაძის გამზ. 70
2	ვაკე სერვის ცენტრი	თბილისი	ი.ჭავჭავაძის გამზ. N12
3	პუშკინის ფილიალი	თბილისი	პუშკინის ქუჩა 21
4	თამარ მეფის ფილიალი	თბილისი	თამარ მეფის გამზ. 9
5	ვარკეთილის ფილიალი	თბილისი	ჯავახეთის ქ. 2
6	საბურთალოს ფილიალი	თბილისი	ალ. ყაზბეგის გამზ. N41
7	ნაძალადევის ფილიალი	თბილისი	დადიანის ქ.N77
8	გლდანის ფილიალი	თბილისი	ხიზანიშვილის ქ N1
9	პეკინის ფილიალი	თბილისი	პეკინის ქ. 5
10	ლილოს ფილიალი	თბილისი	კახეთის გზატკეცილი N112
11	დიდუბის ფილიალი	თბილისი	ა. წერეთლის გამზირი 141ა
12	ბულაჩაურის ფილიალი	თბილისი	ა. კალანდაძის ქუჩა 4
13	რუსთავის ფილიალი	რუსთავი	მეგობრობის ქ. N3
14	რუსთავის ფილიალი 2	რუსთავი	კოსტავას ქ. 19
15	მარნეულის ფილიალი	მარნეული	შ. რუსთაველის 60ა
16	თელავის ფილიალი	თელავი	ქ. წამებულის ქუჩა . N11
17	გორის ფილიალი	გორი	ი. ჭავჭავაძის გამზ. .N6
18	ხაშურის ფილიალი	ხაშური	ი.სტალინის ქუჩა. N112
19	სამტრედიის ფილიალი	სამტრედია	ჭავჭავაძის ქუჩა .N13
20	ქუთაისის ფილიალი	ქუთაისი	ჭავჭავაძის გამზირი. N62
21	ქუთაისის ფილიალი 2	ქუთაისი	დავით აღმაშენებლის მოედანიN2
22	ქუთაისის ფილიალი 3 (ნიკეა)	ქუთაისი	ნიკეას ქ. N2
23	წყალტუბოს ფილიალი	წყალტუბო	ი. ჭავჭავაძის ქ. N9
24	ზესტაფონის ფილიალი	ზესტაფონი	დ. აღმაშენებლის ქ. .N87
25	ფოთის ფილიალი	ფოთი	ძ. ლოლუას ქ.2.
26	ბათუმის ფილიალი	ბათუმი	ი. ჭავჭავაძის ქ. 25
27	ბათუმის ფილიალი 2	ბათუმი	ბარათაშვილის ქ. 18
28	ზუგდიდის ფილიალი	ზუგდიდი	ზვიად გამსახურდიას გამზ. 28
29	გურჯაანის ფილიალი	გურჯაანი	წმინდა ნინოს ქ. N1
30	დიდი დიდშის ფილიალი	თბილისი	იოანე პეტრიწის N 13
31	რუსთაველის ფილიალი	თბილისი	შოთა რუსთაველის გამზ. N31/13
32	მუხიანის ფილიალი	თბილისი	ა. გობრონიძის ქ. N 1ბ
33	ქობულეთის ფილიალი	ქობულეთი	შოთა რუსთაველის N 3

## დასაქმების საკითხები

### ჩვენი გუნდი

შპს მისო „რიკო ექსპრესში“ დასაქმებულია 387 თანამშრომელი. თანამშრომელთა მიღება ხდება გასაუბრების საფუძველზე. უამრავი კანდიდატიდან კომპანია არჩევს ყველაზე მოტივირებულ,

მონდომებულ და კეთილსინდისიერ თანამშრომლებს, რომლებიც თავიდან მიიღებინ სტაჟირების ხელშეკრულების საფუძველზე. სტაჟირების წარმატებულად გავლის შემდგომ მათთან იდება ძირითადი დასაქმების ხელშეკრულება.

საქმიანობაში უმთავრესი და უპირველესი არის ადამიანური რესური, ამიტომ ვცდილობთ მათთვის შეიქმნას ოპტიმალური და ჯანსაღი პირობები ეფექტური და წარმატებული შრომისათვის. თანამშრომლებისადმი მიდგომის საბაზისო საყრდენი არის სამართლიანობა, რაც გამოიხატება ადეკვატური ანაზღაურებით და პრემიების გაცემით, ყოველწლიურად ხდება ხელფასის გადახედვა და ზრდა. არ ხდება უსაფუძვლო პრივილეგიები სამსახურში აყვანის დაწინაურების, ხელფასის თუ პრემიის გაცემისას. კომპანია იღებს თავის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე და სანაცვლოდაც მათგან მოითხოვს კეთილსინდისიერ და ნაყოფიერ საქმიანობას მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას, რაც გათვალისწინებულია კომპანიის მიერ გამოცემულ შინაგანაწესში.

### **უსაფრთხოება და ჯანსაღი გარემო სამუშაო ადგილზე**

კანონმდებლობის შესაბამისად კომპანიაში დაცულია უსაფრთხოების სტანდარტები, რათა თანამშრომლებისთვის შექმნილი იყოს ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო.

კომპანიის სათავო ოფისსა და ფილიალებში მოწყობილია აუდიო-ვიდეო მონიტორინგის და სიგნალიზაციის სისტემები. სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ზოგიერთ ადგილას გამოყენებულია ბეტონის კედლები და ბრონირებული მინები. ყველა თანამშრომელი დატრენინგებულია, თუ როგორ უნდა მოიქცეს საეჭვო სიტუაციებში. ყოველივე აღნიშნული უზრუნველყოფს თანამშრომელთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვასა და უსაფრთხოებას.

ფილიალებში განთავსებულია ცეცხლმაქრები და შენობის საევაკუაციო გეგმა, რომლის შესახებაც ინფორმირებულები არიან თანამშრომლები. ასევე, გამართულია სავენტილაციო სისტემა, რაც დადებითად აისახება თანამშრომლის ჯანმრთელობასა და შრომის ნაყოფიერებაზე.

კომპანია თავისი ხარჯებით უზრუნველყოფს ყველა თანამშრომელს ჯანმრთელობის, სამოგზაურო და სიცოცხლის დაზღვევით.

კომპანია ზრუნავს არამარტო თანამშრომლების უფლებების დაცვაზე, არამედ მომხმარებელთა უფლებებზეც. ამ მიზნით შემუშავებულია შესაბამისი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელთა პრეტენზიების მიღებას, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესს. მუდმივად ხდება შემოსულ პრეტენზიებზე რეაგირება.

### **სამომავლო გეგმები**

კომპანიის მიზანია განვითარების მაღალი მაჩვენებლების შენარჩუნება, საქართველოს მასშტაბით ყველა რეგიონში ფილიალების გახსნა, კადრების მოზიდვა, მოსახლეობისთვის ფინანსური მომსახურებისას მეტი კომფორტის მიწოდება და რაც მთავარია წლიური ბრუნვის შენარჩუნება და ზრდა, რაც თავის მხრივ ბიუჯეტში მიმართული თანხების ზრდის პირდაპირპროპორციულია.



## კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის ბიზნესი რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. თუ კომპანია ვერ შეძლებს ბიზნეს ოპერაციების მარეგულირებელ კანონებსა და რეგულაციებთან შესაბამისობას, ასევე, ბიზნეს ოპერაციების საწარმოებლად საჭირო ყველა ნებართვის მოპოვებას ან მათი პირობების დაცვას ან და თუ საგადასახადო ინსპექცია აღმოაჩენს დარღვევებს, კომპანიას შეიძლება დაუწესდეს სერიოზული საურავები და ჯარიმები ან უფრო მკაცრი სანქციები, მათ შორის კომპანიის ბიზნეს აქტივობის მნიშვნელოვანი ნაწილის შეწყვეტა, რეგისტრაციის შეჩერება ან გაუქმება ან სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოყენება მომუშავე ოფიცრების მიმართ.

თუ კომპანია ვერ შეძლებს ბიზნეს ოპერაციების მარეგულირებელ კანონებსა და რეგულაციებთან შესაბამისობას, კომპანიას შესაძლოა აეკრძალოს სამომხმარებლო სესხების გაცემა. მოქმედ წლიურ საპროცენტო განაკვეთებზე ზედა ზღვარის შემოღებამაც შეიძლება გააუარესოს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგულირებისთვის „მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმს“ იყენებს, ნებისმიერი ცვლილება ამ რეგულაციებში და ამ ცვლილებებთან შესაბამისობა რისკის ქვეშ აყენებს კომპანიის მომავალ ოპერაციებს. მოსალოდნელია ასევე ცვლილებები არსებულ რეგულაციებში, რადგან საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულია ახალი კანონპროექტები, რომლებიც ეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა საწესდებო კაპიტალის მინიმალური მოცულობა და გამჭვირვალობა.

სექტორში ოპერირებისთვის მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა უნდა შეასრულონ ეროვნული ბანკის მოთხოვნები, რომლებიც მიკროსაფინანსო ორგანიზაციად რეგისტრირებას ეხება. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმართ მთავარი მოთხოვნებია: 1) მინიმუმ 1 000 000 ლარის ოდენობის საწესდებო კაპიტალი, 2) სესხების გაცემა 100 000 ლარამდე, 3) მხოლოდ საკრედიტო ოპერაციების განხორციელება და უარის თქმა მომხმარებლებისგან დეპოზიტების მიღებაზე, 4) წლიური საპროცენტო განაკვეთი სესხის ძირითადი თანხის მაქსიმუმ 50%-მდე და 5) წლიური ჯარიმის საპროცენტო განაკვეთი სესხის ძირითადი თანხის მაქსიმუმ 1,5-მაგ ოდენობამდე.

2018 წლის იანვრიდან მოქმედ წლიურ საპროცენტო განაკვეთზე ზედა ზღვრის დაწესების შედეგად რამდენიმე მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ შეწყვიტა საქმიანობა, რადგან ფუნქციონირებისთვის საჭირო საოპერაციო მოგებას ვეღარ იღებდა. ამრიგად, არსებულ მოთხოვნებში რაიმე ცვლილებამ ან ახალი მოთხოვნების შემოღებამ შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს ოპერირება მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო ან იმის გამო, რომ ბიზნესი ვერ აკმაყოფილებს ამგვარ მკაცრ მოთხოვნებს.

## ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური კომპანიების მთავარ საფრთხეს წარმოადგენს საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები. **საბაზრო რისკი** მოიცავს სავალუტო და საპროცენტო რისკებს. **საკრედიტო რისკი** ეს არის კონტრაქტების მიერ თავისი ვალდებულებების ვერ შესრულებით

გამოწვეული დანაკარგი, კერძოდ პროცენტების და ვალის ძირითადი თანხის საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის გამო. კომპანიის მთავარი ამოცანაა მოახდინოს რისკების გამოვლენა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება. ხორციელდება კომპანიაში არსებული ქონებისა და რესურსების პროდუქტიული განაწილება და გამოყენების ხელშეწყობა, აქტივების დაცვა და გაძლიერება, ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციონალური ცოდნის ბაზის განვითარება და გაძლიერება, ოპერაციების ოპტიმიზაცია და სხვა. კომპანია აფასებს გამოვლენილ რისკებს, თუ რომელი და რა ღონის რისკისთვის არის მზად, ასევე რა ღონისძიებები გაატაროს რისკის შესამცირებლად. იმის გამო, რომ რისკების შემცირებაა, კრედიტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებები ძირითადად მიიღება მსესხებლის გადახდისუნარიანობის და კრედიტუნარიანობის საფუძველზე. უზრუნველყოფის საშუალებებს კომპანია იყენებს საკრედიტო რისკის შესამცირებლად.

### **საკრედიტო, საბაზრო და სხვა რისკების მიმოხილვა**

კომპანიის საქმიანობისათვის გარკვეული რისკებია დამახასიათებელი და მათი მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასებისა და კონტროლის უწყვეტი პროცესით. რისკის მართვის ამ პროცესს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიის უწყვეტი შემოსავლიანობისთვის. ხელმძღვანელობის ზედა რგოლი პასუხს აგებს და უშუალოდაა ჩართული რისკის მართვის საქმიანობაში. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო იღებს რისკის მართვის შესაბამის გადაწყვეტილებებს (რომლებიც მოიცავს როგორც ქვემოთ აღწერილ ფინანსურ რისკს, ისე ბიზნეს რისკებს, როგორცაა გარემოს, ტექნოლოგიებისა და დარგის ცვლილებები) რეგულარულ შეხვედრებზე, რომლებიც მინიმუმ თვეში ორჯერ ტარდება. კომპანიას ძირითადად აქვს საკრედიტო, ლიკვიდურობის და სავალუტო რისკები. მისთვის ასევე, დამახასიათებელია საოპერაციო რისკები.

### **საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს.

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა უდრის თავისი ფულადი სახსრების (გარდა ნაღდი ფულის ნაშთისა სალაროში), გაცემული სესხების, დებიტორული დავალიანების და წარმოებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას. სალომბარდო სესხებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკები ძირითადად იმართება, სესხების უზრუნველყოფის მოთხოვნით. გარდა ამისა, კომპანია ზღუდავს და აკონტროლებს ერთ მსესხებელზე გაცემული სალომბარდო სესხების თანხას (მაქსიმუმ 100 000 ლარი) და არ არსებობს ერთი მსესხებელი, რომელზეც მნიშვნელოვანი ნაშთი მოდის, სალომბარდო სესხების მთლიან ნაშთთან მიმართებაში.

იპოთეკური სესხის შემთხვევაში, სესხის მომთხოვნი პირი ჯერ ავსებს სასესხო განაცხადს, რომელსაც განიხილავს და აანალიზებს კომპანიის საკრედიტო განყოფილება. თუ განაცხადს დაამტკიცებს საკრედიტო განყოფილება, შემდეგ ტარდება გასაუბრება პირადად კლიენტთან

კომპანიის დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიერ. თუ კომპანიის დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დაასკვნენ, რომ აღნიშნული კლიენტის შემთხვევაში საკრედიტო რისკის მისაღები დონე არსებობს, შემდეგ ხდება დასაგირავებელი ქონების შეფასება და გაიცემა იპოთეკური სესხი, რომლის თანხაც არ აღემატება ქონების სალიკვიდაციო ღირებულების 30 %-ს. ეს არის ის მიახლოებითი თანხა, რომლის მიღებაც მოსალოდნელია აქტივის დაჩქარებული წესით გაყიდვის შედეგად, ვიდრე იქნებოდა დამოუკიდებელ მყიდველზე ჩვეულებრივი გაყიდვის პირობებში.

სალომბარდო სესხის შემთხვევაში თუ მსესხებელი 15 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ განახორციელებს შენატანს, კომპანია კლიენტს უგზავნის ოფიციალური გაფრთხილების წერილს და თუ მსესხებელი მაინც ვერ დაფარავს დავალიანებას 60 დღის განმავლობაში ან რიგ შემთხვევებში 120 დღის განმავლობაში, მაშინ კომპანია ჩამოწერს სესხს და ყიდის უზრუნველყოფის საგანს.

იპოთეკური სესხების შემთხვევაში, ოფიციალური გაფრთხილების წერილი იგზავნება მაშინ, თუ მსესხებელი ვერ გადაიხდის 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში და წერილი ასევე, ქვეყნდება გაზეთში. თუ მსესხებელი ვერ გადაიხდის დავალიანებას დროულად კომპანიის თანამშრომელი კლიენტს უკავშირდება ტელეფონით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით და მოსთხოვს თანხის დაფარვას. ჩვეულებრივ, კომპანია სასამართლოს მხოლოდ მაშინ მიმართავს დაგირავებული უძრავი ქონების გაყიდვის მოთხოვნით, როდესაც სესხი 60 დღეზე მეტი დღითაა ვადაგადაცილებული. თუმცა გარკვეულ შემთხვევებში, კომპანია ცდილობს კლიენტთან სესხის შეცვლილ პირობებზე მოლაპარაკებას, დაგირავებული ქონების გაყიდვის თავიდან აცილების მიზნით. როგორც წესი, სასამართლო აკმაყოფილებს კომპანიის მოთხოვნა და აქტივები იყიდება კომპანიის მიმართ მსესხებლის დავალიანების დასაფარად. თუმცა, ხშირად ჯარიმების დაფარვა არ ხდება. სასამართლოში საქმის წარმოებას შეიძლება დაახლოების ერთი წელი დასჭირდეს, ხოლო აღსრულების პროცესს კიდევ 3 თვე.

## **საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის რისკი, რომელიც განაპირობებს ინვესტიციის ღირებულების შემცირებას საბაზრო ფაქტორების ცვლილებების გამო. ეს ფაქტორები გავლენას ახდენენ მთლიანად პროცესზე და ფინანსური ბაზრების მდგომარეობაზე. იგი შეიძლება შემცირდეს მხოლოდ აქტივების დივერსიფიცირებით, რომლებიც არ არიან კორელირებული ბაზართან როგორცაა ალტერნატიული კლასის აქტივები. საბაზრო რისკს „სისტემურ რისკსაც“ უწოდებენ, რადგან ის დაკავშირებულია ფაქტორებთან, მაგალითად როგორცაა რეცესია, რომელიც გავლენას ახდენს მთლიანად ბაზარზე. საბაზრო რისკი მოიცავს შემდეგ რისკ ფაქტორებს, რომელთა ერთობლიობაც ქმნის საბაზრო რისკს:

1. სავალუტო რისკი - ეს არის სავალუტო გაცვლის კურსის ცვლილება გაიზრდება თუ შემცირდება.
2. კაპიტალის რისკი - აქციათა ფასის ცვლილება გაიზრდება თუ შემცირდება.

3. ინფლაციის რისკი - ინფლაციამ პოტენციურად შეუძლია განაპირობოს ფასების ზრდა ყველა საქონელზე და მომსახურებაზე, რომელიც თავის მხრივ იწვევს ფულის გაუფასურებას.

4. სასაქონლო რისკი - სასაქონლო ფასების ცვლილებას შეუძლია დრამატული ცვლილებების გამოწვევა, მაგალითად ფასების ცვლილება მეტალზე იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს ღირებულებაზე.

5. საპროცენტო განაკვეთების რისკი - რისკი, რომელიც მოდის პროცენტის გაზრდის ან შემცირების საფუძველზე.

ფინანსური ისტებლიშმენტი რუტინულად ეჩეხება სხვადასხვა ტიპის რისკებს საოპერაციო საქმიანობისას. რისკები განპირობებული ფინანსური ზარალის გაურკვეველობით, შეუძლია დაასახიჩროს ბიზნესი ან ზიანი მიაყენოს დროსთან ერთად თუ დროულად არ დავძლევთ მას. რისკის მართვის მექანიზმი უნდა შემუშავდეს რისკების მართვის ფილოსოფიის საფუძველზე, რათა მინიმიზაცია გავუკეთოთ იმ რისკებს, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვნად დააზარალონ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა. ეს გულისხმობს პოტენციური რისკების გამოვლენას, ანალიზს და იმ ღონისძიებების გატარებას, რომელიც ამ რისკებს შემაცირებს ან გააუვნებლებს.

ყველაფერი ზემოთ თქმულიდან გამომდინარე კომპანიის ძირითადი ამოცანაა თანამედროვე მეთოდებით და ტექნოლოგიებით ყველა საჭირო ინფორმაციის მოძიება, შეგროვება და ანალიზი. ამავდროულად საოპერაციო საკრედიტო რისკების ეფექტური მართვა და სახელმწიფო რეგულაციების სწორი გაგება და შესატყვისი შიდა განაწესის პოლიტიკის შემუშავება რათა კომპანიის მართვა შეესაბამებოდეს სახელმწიფო რეგულაციებს და ნორმატივებს. ყველაფერი ეს არის ერთ-ერთი პერსპექტიული ინსტრუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს გავიგოთ ყველაზე მკაცრი, პერმანენტული და მნიშვნელოვანი რისკების პოტენციური ბიზნესში და უზრუნველყოთ დანაკარგების შემცირება კომპანიის საქმიანობაში.

## **სავალუტო რისკი**

უცხოურ ვალუტაში გამოხატული აქტივებისა და ვალდებულებების გამო არსებობს სავალუტო რისკი. სავალუტო რისკს ხელმძღვანელობა აკონტროლებს სესხების გაცემით და დაფინანსების მიღებით ერთსა და იმავე ვალუტაში.

## **საოპერაციო რისკი**

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი, ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. კომპანია საოპერაციო რისკს ძირითადად ამცირებს იმით, რომ ხელმძღვანელობის ზედა რგოლი უშუალოდაა ჩართული კომპანიის პროცესებსა და ოპერაციებში, შეფასების, ავტორიზაციისა და

შეჯერების პროცედურების ჩათვლით. საოპერაციო რისკის შემცირება ხდება კონტროლის სისტემის მეშვეობით, რაც გულისხმობს მოვალეობების ეფექტურ გადანაწილებას, თანამშრომლების სპეციალიზირებას, შიდა აუდიტს.

#### გარემოს დაცვის საკითხები

კომპანია, გარემოს დაცვის მიზნით, გამონაბოლქვის შესამცირებლად, ეტაპობრივად ახორციელებს საწვავზე მომუშავე მანქანების ელექტრო მანქანებით ჩანაცვლებას.

#### კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები

საანგარიშო პერიოდში კომპანიას არ უწარმოებია კვლევები.

#### აუდიტორის ანაზღაურება

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის კომპანიის აუდიტორის ანაზღაურებას შეადგენს შემდეგს (დღგ-ს გარეშე – ათას ლარში): 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გასამრჯელო – 108 ათასი ლარი, 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გასამრჯელო – 160 ათასი ლარი.

დირექტორი:

თამარ გოგოძე



შეჯერების პროცედურების ჩათვლით. საოპერაციო რისკის შემცირება ხდება კონტროლის სისტემის მეშვეობით, რაც გულისხმობს მოვალეობების ეფექტურ გადანაწილებას, თანამშრომლების სპეციალიზირებას, შიდა აუდიტს.

### **გარემოს დაცვის საკითხები**

კომპანია, გარემოს დაცვის მიზნით, გამონაბოლქვის შესამცირებლად, ეტაპობრივად ახორციელებს საწვავზე მომუშავე მანქანების ელექტრო მანქანებით ჩანაცვლებას.

### **კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები**

საანგარიშო პერიოდში კომპანიას არ უწარმოებია კვლევები.

### **აუდიტორის საზღაური**

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის კომპანიის აუდიტორის ანაზღაურებას შეადგენს შემდეგს (დღგ-ს გარეშე – ათას ლარში): 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გასამრჯელო – 108 ათასი ლარი, 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გასამრჯელო – 160 ათასი ლარი.

დირექტორი:

თამარ გოგოძე

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „იუაის“ მიერ 2019 წლის 2 ოქტომბერს გამოშვებული ინგლისურენოვანი აუდიტის დასკვნის თარგმანს.

წინამდებარე თარგმანსა და აუდიტის დასკვნის ინგლისურენოვან ორიგინალს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ტექსტს.